# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 5 მარტი 2007 №48 (2971) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენებმა გოლები გამოფინეს





ლევან ცქიტიშვილი, ალექსანდრე იაშვილი, შოთა არველაძე — ამ უქმეებზე ევრო-ქართული გოლები ამათ მიითვალეს. „ცქიტომ" სულაც პირველად გაიტანა „პანიონიოსში", იაშვილმა „ფრაიბურგისთვის" უპრინციპულეს მატჩში (2:1 „დუისბურგთან") იხეირა, შოთამ კი „ალკმაარის" 4:0 მოგებულ თამაშში ერთი ბურთი იკმარა.

ერთიც: რუსულ „სატურნში" სამი დღის წინ გადასულმა გოგიტა გოგუამ, ისევე, როგორც უკრაინული „დნიპროს" ახალწვეულმა ჟაბა კანკავამ, თავიანთ გუნდებში სადებიუტო თამაშები ჩაატარეს.



ირაკლი ცირეკიძემ ვარშავა იპონ-იპონ ჩაამთავრა

# ხაბარელმა შესანიშნავი შვიდეული შენიშნა

ძიუდოისტთა მთავარ საგაზაფხულო ტურნირამდე, ევროპის ჩემპიონატამდე თველა რჩება. საქართველოს ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელის მთავარი საფიქრალი იქ წასაყვანი შვიდეულის შერჩევაა. მთავარი კანდიდატები მწვრთნელმა ევროპისწინა ბოლო საერთაშორისო ტურნირზე, ვარშავულ მსოფლიოს თასზე ამ უქმეებზე გამოსცადა. რჩეულთა ოფიციალურად გაცხადებას ხაბარელი ჯერ არ იჩქარებს, მაგრამ ბევრი რამ უთქმელადაც ნათელია. მაგალითად, ის, რომ ირაკლი ცირეკიძეს ევროსაგზურს ვერავინ შეეცილება. 90 კილოგრამი წონითი კატეგორიის ლიდერმა გუშინ პოლონეთში ხუთი ბრძოლიდან ოთხი იპონით მოიგო, ერთიც ქულებით და ოქროს მედალი მოიპოვა. სულ კი თერთმეტკაციანი ქართული გუნდი თბილისში ხუთი მედლით ბრუნდება — ცირეკიძის ოქროს გიორგი ზაინდურაშვილმა, ლევან ჟორჟოლიანმა, ლევან რაზმაძემ და ლაშა გუჯეჯიანმა თავისი წილი ბრინჯაოები მიამატეს.

# მაჟორი მინ 2-ით

## საქართველო შინ საუკეთესო თავდამსხმელით დაბრუნდა

მაჟორულ ნოტაზე კი დაასრულა პორტუგალიის ოთხთა საერთაშორისო ტურნირი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა, მაგრამ პირველი ადგილი მაინც სხვებს დარჩათ.

ბოლო ტურში ჰაინც ტოპმიოლერის ბიჭებმა 3:0 მოუგეს ბელგიელ თანატოლებს. ანგარიში 33-ე წუთზე ვახტანგ ფანცხავამ გახსნა, შესვენების შემდეგ კი დავით თარგამაძემ და იმავ ფანცხავამ ბელგიელთა განადგურება „გააფორმეს".

აღსანიშნავია, რომ ქართველთა სამივე გოლი შორეული დარტყმით გავიდა.

საქართველოს ნაკრებს ამ მოგებით ექვსი ქულა დაუგროვდა, მაგრამ ჩვენების პირველობა სხვა მატჩზე იყო დამოკიდებული — მასპინძელმა პორტუგალიამ 0:1 წააგო ირლანდიის ნაკრებთან, რომელსაც შვიდი ქულა მოუგროვდა და იპირველა კიდეც.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური გვატყობინებს, ჩვენებს სანუგეშოდ ვახტანგ ფანცხავას საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი დარჩათ.

ბელგიის ნაკრებთან ჰაინც ტოპმიოლერმა ეს შემადგენლობა ათამაშა: *რ. კვასხვაძე (მაკარიძე 40), ბენაშვილი, ხუმარაშვილი, სანაია, მჭედლიძე, დაუშვილი, წულაძე (ქვრივიშვილი 80), თარგამაძე (ცუცქირიძე 63), ყენია, ფანცხავა, ლვინიაშვილი (სოფრომაძე 74).*

აქვე იმასაც გეტყვით, რომ ეს ნაკრები 2008 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომლის შესარჩევი ტურნირი 18-23 ოქტომბერს თბილისში გაიმართება. ჩვენი მეტოქეები ჰოლანდია, ნორვეგია და ლატვია იქნებიან.



სახსოვრად პორტუგალიიდან: ლევან მჭედლიძე და ლევან ყენია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| ბელგია | 3 | 0 | 1 | 2 | 2:8 | 1 |

# ჩვენ ჩვენი დავითვალოთ: ერთი, ორი, სამი



ლევან ცქიტიშვილის პირველი ბერძნული...

**იტალიის** სერია A-ს ტურში ტრავმის გამო კახა კალაძეს არ უთამაშია, მისმა „მილანმა“ კი შინ 3:1 მოუგო „კიევოს“ და სალიგო ოთხეულს მკვეთრად მიუახლოვდა.

ყველას გასაკვირად, ინგლისის პრემიერლიგაში კარგ ფორმაში მყოფ „ბოლტონს“ სტუმრად 2:1 მოუგო **ზურაბ ხიზანიშვილის** „ბლექბერნმა“. ქართველმა ამ გამარჯვებას სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი.

გერმანიაში სულ უფრო და უფრო საეჭვო ხდება ლევან კობიაშვილის „შალკეს“ ჩემპიონობა. გელზენკირხენელებმა შინ ზედიზედ მეორე მატჩი წააგეს, ამჯერად „ჰამბურგთან“ — 0:2. „ხუმარებს“ ვერ უშველა ქართველმა, რომელმაც, დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ სრულად, თუმც ინერტულად ითამაშა. „შალკე“ უახლოს მდევარს სამი ქულითღა უსწრებს და ვინძლო ხუმრობა-ხუმრობაში ბუნდესსასალათეზე ხელის შევლება სანატრებელი არ გაუხდეს.

მეორე ბუნდესლიგაში მოთამაშე „ქართული გუნდებიდან“ ყველაზე წინ **დავით სირაძის** აუე-ა. ერცგებირგელებმა შინ 1:0 მოუგეს „კაიზერსლაუტერნს“ და ბუნდესლიგაში აღზევების შანსს ინარჩუნებენ. ჩვენებური ბოლო წუთზე დიმიტარ რანგელოვის ნაცვლად გამოჩნდა.

აუე-სგან განსხვავებით, ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის **გიორგი ლომაიას** და **მიხეილ აშვეთიას** „კარლ ცაისი“. იენელებმა სამმატჩიანი წაუგებელი სერია „უნტერჰახინგთან“ შეწყვიტეს — 0:2. ორივე ქართველი მოედანზე სრულად იყო — აშვეთიას თავი დიდად არ გამოუჩენია, ლომაიამ კი ერთ ეპიზოდში კარი აშკარა გოლისგან იხსნა.

ისევ არ უთამაშია მათე ღვინიანიძეს, უქართველოდ კი, როგორც იქნა, მოიგო „მიუნხენ 1860“-მა. ბავარიელებმა შინ „ბრაუნშვაიგი“ დაამარცხეს — 2:0

სულ უფრო ემატება ელიტაში გადასვლის მადა „ფრაიბურგს“ და ამაში ჩვენებურების წვლილიცაა. **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** გუნდმა გუშინ კონკურენტ „დუისბურგს“ 2:1 მოუგო და მასთან სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა. ორივე ქართველმა სრულად ითამაშა, „იაშიმ“ კი მორიგი გოლი შეაგდო — მე-18 წუთზე 11-მეტრიანი ზუსტად შეასრულა.

ორტურიანი უქმობის შემდეგ გოლის გემო გაიხსენა **შოთა არველაძემაც**, „ალკმაარმა“ კი „უტრეხტისგან“ ქვა ქვაზე არ დატოვა — 4:0. ალკმაარელთა კაპიტნის ანგარიშზე მეორე გოლია, ხოლო მწვრთნელმა საქმე მოთავებულად რომ ჩათვალა, 67-ე წუთზე ქართველი შეცვალა.

ქართული გოლი გავიდა საბერძნეთშიც. როგორც იქნა, „პანიონიოსის“ შემადგენლობაში თავი ნაკრების ფეხბურთელმა, **ლევან ცქიტიშვილმაც** გამოიჩინა. „ცქიტომ“ 90-ე წუთზე მასპინძელ „ეგალეოს“ პენალტით გაუტანა და თავისი გუნდის გამარჯვება განამტკიცა — 2:0.

ასეთივე ანგარიშით სტუმრად იმარჯვა **ლევან მაღრაძის** „ქსანთიმაც“, მაგრამ ჩვენებურს გუნდის გამარჯვებაში წვლილი არ მიუძღვის — არ უთამაშია

რუსეთში თასის მერვედფინალური მატჩები გაიმართა. პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩაატარა „სატურნის“ შემადგენლობაში **გოგიტა გოგუამ**. რამენსკოელები სტუმრად სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან“ 0:1 დამარცხდნენ და ახლა საშინაო მატჩის იმედად არიან. გოგუა 70-ე წუთზე შეცვალეს, მის პასივში კი ყვითელი ბარათია.

„როსტოვთან“ სტუმრად 3:1 დამარცხდა **ნუკრი რევიშვილის** და **ლაშა სალუქვაძის** ყაზანის „რუბინი“. სალუქვაძემ სრულად ითამაშა, რევიშვილი კი განაცხადშიც არ ყოფილა.

უკრაინაში კი ეროვნული ჩემპიონატი განახლდა. **ჯაბა კანკავამ** პირველი მატჩი ითამაშა „დნიპროში“, რომელსაც „ილიჩევეცის“ დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ მარიუპოლელებმა მცირე სენსაცია მოახდინეს — 1:1. კანკავამ შეუცვლელად ითამაშა, დნეპროპეტროვსკელთა მეორე ქართველი **რევაზ ბარაბაძე** დუბლებში თამაშით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება „ილიჩევეცის“ ახალწვეულ **გიორგი ციმაკურიძეს**, მწვრთნელმა იგი სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

დონეცკის „მეტალურგის“ მწვრთნელმა კი [illegible] დშიც არ შეიყვანა. [illegible] მეტრაძე, ხოლო მეტალურგები უმეღოდ დამარცხდნენ ალჩევსკელ „სტალთან“ — 0:3.

სტუმრად „კარპატისთან“ ქულას გამოჰკრა ხელი **ვასილ გიგიაძისა** და **ვლადიმერ ბურდულის** „კრივბასმა“ — 1:1. გიგიაძემ 85 წუთი ითამაშა, ბურდული კი არ გამოჩენილა.

პირველი უკრაინული წუთები გაატარა მოედანზე **გიორგი ჭელიძემ**. ლუგანსკის „ზარიაში“ გადაბარგებული „პაჭელი“ მინდორზე 66-ე წუთზე გამოჩნდა. თუმც გუნდს ვერაფერი უშველა: მრისხანე „შახტარი“ ადვილად გაუსწორდა ჩვენებურის გუნდს — 3:0.

ქართული დერბი არ შედგა ოდესაში. „ჩერნომორეცმა“ 2:0 მოუგო კიევის „არსენალს“. „მეზღვაურთა“ შემადგენლობაში არ გამოჩენილა **ილია კანდელაკი**, სამაგიეროდ, ექვსთვიანი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა **ლაშა ჯაკობიამ**. „არსენალის“ მწვრთნელმა ალექსანდრ ზავაროვმა ქართველი მცირე ხნით დატვირთა და მინდორზე 65-ე წუთზე შეუშვა.

**კახა ალადაშვილის** და **ოთარ მარცვალაძის** კიევის „დინამომ“ დავით **კვირკველიას** ზაპოროჟიეს „მეტალურგს“ უმასპინძლა და 3:1 მოუგო. კვირკველიამ ორივე ტაიმი ითამაშა, მარცვალაძე ტრავმის გამო უქმობს, ალადაშვილმა კი წინა დღეს დუბლებში ითამაშა და გოლითაც გამოირჩა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

---

# დავიღალე უსამართლობით

## ვიტალი დარასელია: ამ თამაშს აღარ ვთამაშობ





**ბოლნისის „სიონს“ სამეორეწრეოდ რამდენიმე ფეხბურთელი შეემატა და, ცხადია, მათ შორის ყველაზე სახელიანი ვიტალი დარასელიაა. 28 წლის ნახევარმცველმა ბოლნისური ფანობა თავის პირველივე თამაშში გაახარა — „ვიტ ჯორჯიას“ გადამწყვეტი გოლი გაუტანა და საერთოდაც, კარგად ითამაშა. ვიტალი ტრავმის გამო შეცვალეს და პირველად სწორედ ამაზე ვკითხეთ, თუმც ამ ინტერვიუში საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი გაცილებით საინტერესო თემებზე გვესაუბრა — კერძოდ, რატომ არის იგი ნაკრების ყოფილი და არა მოქმედი ფეხბურთელი**

— საბედნიეროდ, ტრავმა საშიში არ გამოდგა. იდაყვი მომხვდა თავში თუ მუხლი, აღარ მახსოვს. ჩვეულებრივ ვვარჯიშობ, ეგაა, ჯერ თავს ვერ ვურტყამ ბურთს.

— ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნება გოლით აღნიშნე. საერთოდ, როგორ შეაფასებდი „ვიტ ჯორჯიასთან“ თამაშს?

— „სიონში“ ფეხბურთელებთან შეთამაშება გამიჭირდა-მეთქი, ვერ ვიტყვი. ძნელი თამაში იყო, „ვიტ ჯორჯია“ კარგი, ახალგაზრდული გუნდია, „სიონში“ კი შედარებით ასაკოვანი ფეხბურთელები ვართ და ამ მხრივ ცოტა გაგვიჭირდა, თუმცა დამსახურებულად მოვიგეთ.

— საქართველოს წინა ჩემპიონატში „დინამოში“ მეორე წრე ითამაშე. მართალია, ჯერ ერთი მატჩი ჩაატარე, მაგრამ როგორ აფასებ, დონემ აიწია თუ პირიქით?

— ვფიქრობ, ოდნავ ამაღლდა, „სიონი“ მაშინდელზე ძლიერი ჩანს, „ოლიმპიც“ და „ამერიც“ კარგად გამოიყურებიან.

— **იყო შუშაკის „დინამოში“ რომ თამაშობდი, მაშინდელი ჩემპიონატი უკეთესი არ იყო?**

— რა თქმა უნდა, შუშაკის „დინამოში“ ბევრი კარგი ფეხბურთელი ვთამაშობდით, თანაც „ტორპედო“ „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯიაც“ გაცილებით ძლიერები იყვნენ. დაძაბულობა მაშინაც იყო და ახლაც არის, მაგრამ იმდროინდელ ჩემპიონატში ეროვნული ნაკრების მოთამაშეებიც საკმაოდ იყვნენ.

— **ექვსი თვე ყარაგანდის „შახტიორში“ ითამაშე. ყაზახეთისა და საქართველოს ჩემპიონატები რომ შევადაროთ?..**

— სამწუხაროდ, ყაზახეთი გვისწრებს. იქ რუსი ფეხბურთელებიც ჩადიან, რომლებიც არცთუ დაბალი დონისანი არიან. სხვა ქვეყნებიდანაც ჰყავთ ყაზახურ გუნდებს ლეგიონერები, ეს კი, ცხადია, ფინანსებით ხდება. ყაზახურ კლუბებს უფრო დიდი ფული აქვთ, ვიდრე ჩვენებს.

— **საქართველოში დაბრუნებული ლეგიონერები პირველ რიგში უვარგის მინდვრებს უჩივიან...**

— დიახ, ასეა. ჩემი აზრითაც, პირველ რიგში სწორედ მინდვრებია მისახედი. ზოგიერთ სტადიონზე ისეთი საფარია, იქ, უბრალოდ, ვერ ითამაშებ. „სიონის“ მოედანს კიდევ არაუშავს, მაგრამ ის არ არის, რაც უნდა იყოს.

— **სანამ „სიონში“ მოხვიდოდი, რუსული გუნდების ვარიანტები გქონდა...**

— ნალჩიკის „სპარტაკში“ გადასვლა შემეძლო, მაგრამ არ მოვინდომე.

— **რატომ?**

— იმიტომ, რომ მალე ფეხბურთის თავს დავანებებ. დავიღალე ამდენი უსამართლობით. წარმოიდგინეთ, რაც უნდა კარგად მეთამაშა, ნაკრებში არ მიწვევდნენ. მხოლოდ ალენ ჟირესის მწვრთნელობისას თუ გამომიძახებდნენ... ნაკრების ღლევანდელი ხელმძღვანელობას კი ვერაფერი გავუგე.

— **რაიმე კონფლიქტი ხომ არ გაქვს ვინმესთან?**

— არა, უბრალოდ, ნაკრები ჩემთვის უპირველესია და გული მწყდება, რომ გარეკა არ მიფასდებოდა.

— **ყაზახეთში იყავი, ახლა კი ქართულ კლუბში თამაშობ და იქნებ გამოგიძახონ...**

— ვნახოთ, ისე ყაზახეთში ცუდად არ ვთამაშობდი, რასაც სტატისტიკაც მოწმობს. ესაც რომ არა, „ალანიაში“ ლიდერი ვიყავი, ჩემს პოზიციაზე რუსულ პრემიერლიგაში პირველ ადგილზე ვიყავი და არ შეიძლებოდა, ასეთი ფეხბურთელი ნაკრებში ერთხელ მაინც გამოეძახებინათ?! რამდენი კაცი გამოსცადეს ნაკრებში, რომლებსაც თავიანთ კლუბებში თამაში არ უწევდათ. ყველამ თავის გულში ჩაიხედოს, ასე ვიტყვი...

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს 18 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა · II წრე. 15 ტური

# ოლიმპი პირველ წრეს იმეორებს
## უდროო სიურპრიზების ტური

სიონი 1:0 ვიტ ჯორჯია
ამერი 0:0 ბათუმი
ზესტაფონი 1:1 მერანი
დილა 1:2 დინამო
კახეთი 0:5 ოლიმპი
ტორპედო 2:0 ჩიხურა
ლოკომოტივი 0:0 ბორჯომი


„ვიტ ჯორჯია" ბოლნისში წაიქცა

6 ქულა და ბურთების შეფარდება 8:0 — ასეთია რუსთავის „ოლიმპის" სამეორეწრეო სპურტი და მე-15 ტურში ხომ მთლად რევაზ ძ.ძუაშვილის გუნდისთვის გაისროლა ავრორამ: მდევრებმა — „ამერმა" და „ზესტაფონმა" საშინაო მატჩებში ორ-ორი ქულა დაკარგეს. მოკლედ, პარასკევს სენსაციებიც იყო, რაც მიმდინარე ჩემპიონატში ერთობ ძვირი სანახავი გახდა.

„ოლიმპის" რვა გოლიდან ნახევარი ვლადიმერ დვალიშვილზე მოდის. 20 წლის ფორვარდმა თელავში დუბლი შეუსრულა „კახეთს", რითაც სეზონში რვა გოლს უწია და ვიტჯორჯიელ ნიკა გელაშვილთან და ზესტაფონელ გოგი ფიფიასთან ერთად ბომბარდირთა სიაში გალიდერდა.

ერთიც: თუ გახსოვთ, პირველი წრის ზედიზედ 10 მატჩში „ოლიმპს" გოლი არ გაეშვა და ემანდ, მეორე რეკორდზე ხომ არ მიდის?..

„დასანანი ქულები დავკარგეთ. მომენტების გამოუყენებლობა იმის ბრალია, რომ ჩვენი ფორვარდები ცუდ ფორმაში არიან" — თქვა „მერანთან" ნამატჩევს „ზესტაფონის" თავკაცმა თემურ მახარაძემ.

მართლაც, ფეროელებს ბევრი შანსი ჰქონდათ, მაგრამ თბილისელთა მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილი ყოჩაღად იდგა და სენსაციის მთავარ მიზეზადაც ის მოგვევლინა.

უგოლო ფრეს დასჯერდა „ამერი", თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ გლდანელებს დისკვალიფიკაციის გამო რატი წინამძღვრიშვილი, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე და დავით მჭედლიშვილი აკლდნენ, „ბათუმთან" 0:0-ს ახსნა კიდევ მოეძებნება.

ზესტაფონელებისა და ამერელების წაფორხილებამ მარტო „ოლიმპი" კი არა, „დინამოც" ახეირა — დუშან უჰრინის ბიჭებმა მინიმალური ანგარიშით, თუმც, დამაჯერებლად სძლიეს გორის „დილას". ზედიზედ ორი მატჩია, დინამოელთა ანგარიშის გამხსნელ გოლს სანდრო კობახიძე იტანს. არადა, იგი ადრე ასისტენტობით უფრო გამოირჩეოდა. „დინამო" მეოთხე საფეხურზეა და კინკილა ქულასღა აგებს მეორე-მესამეადგილოსნებთან.

ვის სჯერა, ვის არა, მაგრამ გიორგი კიკნაძეს კი ეიმედება, რომ მისი „ტორპედო" სამეულში გავა. ქუთათურებმა წინა ტურში მცხეთაში ფრე ამცხეთეს „ვიტ ჯორჯიას", პარასკევს კი საჩხერის „ჩიხურა" გია იმედაძის დუბლით მოაშთეს. ფეხბურთელთა კონტინგენტით „ტორპედო" ვერავის აკვირვებს, მაგრამ შედეგს კი აღწევს და...

ტურის მთავარი თამაში ბოლნისში იყო, სადაც ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებულმა ვიტალი დარასელიამ ოდენ პირველი ტაიმი ითამაშა, მაგრამ ვიტელთა დაცვის აწიოკება და გადამწყვეტი გოლის გატანა მოახერხა. „სიონი" საევროტურნირო ზონას 8 ქულით ჩამორჩება და უფრო თასზე აკეთებს აქცენტს, აი, ვიტ ჯორჯიას" კი ბოლო ორ მატჩში გოლი არ გაუტანია.

**ილია ნანობაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 15 | 12 | 2 | 1 | 40:5 | 38 |
| ამერი | 15 | 10 | 4 | 1 | 30:8 | 34 |
| ზესტაფონი | 15 | 10 | 4 | 1 | 27:5 | 34 |
| დინამო | 15 | 11 | 0 | 4 | 28:12 | 33 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 9 | 4 | 2 | 30:17 | 31 |
| ტორპედო | 15 | 8 | 4 | 3 | 18:8 | 28 |
| სიონი | 15 | 8 | 2 | 5 | 20:13 | 26 |
| ლოკომოტივი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:21 | 15 |
| მერანი | 15 | 4 | 3 | 8 | 13:28 | 15 |
| ბათუმი | 15 | 3 | 4 | 8 | 12:15 | 13 |
| ბორჯომი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:27 | 13 |
| ჩიხურა | 15 | 2 | 4 | 9 | 10:26 | 10 |
| დილა | 15 | 0 | 3 | 12 | 8:42 | 3 |
| კახეთი | 15 | 0 | 1 | 14 | 10:45 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 8-გელაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| ფიფია | ზესტაფონი |
| დვალიშვილი | ოლიმპი |
| 7-ტატანაშვილი | ამერი |
| დოლიძე | ამერი |
| გ. დათუნაიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 6-იაშვილი | დინამო |
| იონანიძე | ზესტაფონი |

### მეთექვსმეტე ტური
10 მარტი, შაბათი
ბორჯომი – დილა
დინამო – ამერი
ბათუმი – ტორპედო
ჩიხურა – სიონი
ვიტ ჯორჯია – კახეთი
ოლიმპი – ზესტაფონი
მერანი – ლოკომოტივი

### სიმბოლური ნაკრები

გრიგოლ იმედაძე — ტორპედო
ვიტალი დარასელია — სიონი
ვლადიმერ დვალიშვილი — ოლიმპი
თორნიკე აფციაური — ოლიმპი
დავით დიღმელაშვილი — დინამო
გიორგი ძიძია — ტორპედო
დავით გალოგრე — ბათუმი
სერგო ორბელაძე — სიონი
ნოდ ზელიჩი — დინამო
ზურაბ ეძოსია — სიონი
კონსტანტინე სეფიაშვილი — მერანი

# დემეტრე



# შაყირ-არშიყი სასამართლოზე

დღეს კიევში, პეჩორის რაიონულ სასამართლოში ხელმეორედ წარდგება გიორგი დემეტრაძე. ჩვენებურს სარჩელი უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის და პროფესიული ლიგის წინააღმდეგ აქვს შეტანილი — დემეტრაძე უკრაინის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს ითხოვს, ანუ ლეგიონერთა ლიმიტის გაუქმებას.

სასამართლოში მისმა პირველმა გამოჩენამ და პასუხებმა დარბაზში მყოფთ ირონიული ღიმილი მოჰგვარა. როგორც უკრაინელი ჟურნალისტები წერენ, დღის ჰიტად იქცა დემესა და მოსამართლის კითხვა-პასუხი: როდის მიხვდით, რომ თქვენი უფლებები ირღვევა? ზუსტად არ მახსოვს, სადღაც ჩემპიონატის დასაწყისში, როდესაც დასაწოლად ვემზადებოდი.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის და პროფესიული ლიგის ადვოკატებმა სარჩელის უსაფუძვლობის გამო საქმის დახურვა მოითხოვეს, თუმც მოსამართლე ირინა ლიტვინოვამ მათი თხოვნა არ დააკმაყოფილა და მოსმენა დღეისთვის დათქვა.

სასამართლოს სხდომაზე დემეტრაძეს ესეც ჰკითხეს, გამოცხადდება თუ არა საქმის ხელახლა განხილვაზე, რაზეც მისი პასუხი ასეთი იყო: რა თქმა უნდა, ამ მშვენიერი ქალბატონის (ფედერაციის ადვოკატის) სანახავად ისევ მოვალ. მისნაირი ენამჭევრობით საქართველოში საუკეთესო თამადებიც კი ვერ დაიკვეხნიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
II წრე. 19 ტური

სპარტაკი 1:0 მეშაქრე
ამერი 2 1:0 მეშახტე
ნ. დინამოელი 6:0 მერცხალი
მგლები 2:0 გურია
ვიტ ჯორჯია 2 2:1 გაგრა
მესხეთი 1:0 დინამო 2
ჩიხურა 2 0:5 ოლიმპი
ზესტაფონი 2 3:1 მალაროელი
რაჭა — სამტრედია
გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 19 | 16 | 2 | 1 | 35:8 | 50 |
| მესხეთი | 18 | 12 | 4 | 2 | 32:10 | 40 |
| მეშაქრე | 19 | 9 | 7 | 3 | 26:17 | 34 |
| ოლიმპი (თბ) | 19 | 9 | 4 | 6 | 36:20 | 31 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 19 | 9 | 4 | 6 | 32:15 | 31 |
| ამერი 2 | 19 | 8 | 6 | 5 | 30:24 | 30 |
| გაგრა | 19 | 9 | 2 | 8 | 29:26 | 29 |
| დინამო 2 | 19 | 8 | 4 | 7 | 41:20 | 28 |
| ნ. დინამოელი | 19 | 8 | 2 | 9 | 29:29 | 26 |
| მალაროელი | 18 | 6 | 7 | 5 | 23:20 | 25 |
| მეშახტე | 18 | 7 | 3 | 8 | 26:25 | 24 |
| ზესტაფონი 2 | 19 | 6 | 6 | 7 | 18:17 | 24 |
| ჩიხურა 2 | 19 | 6 | 3 | 10 | 20:32 | 21 |
| სამტრედია | 18 | 5 | 5 | 8 | 19:31 | 20 |
| სპარტაკი | 19 | 5 | 3 | 11 | 10:26 | 18 |
| გურია | 19 | 4 | 3 | 12 | 20:47 | 15 |
| რაჭა | 17 | 2 | 6 | 9 | 13:31 | 12 |
| მერცხალი | 19 | 2 | 3 | 14 | 14:55 | 9 |



გათამაშების ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!

## საქართველოს ჩემპიონატი

# ლეჟავამ ხუბუას თსუ ანახა
## შერმადინი შერმადინის წინააღმდეგ

3 მარტი. რუსთავი

**აზოტი 81:56 სტუ**

*28:16 16:10 15:10 22:20*

აზოტი: ლიპარტელიანი, ბოისა (8), მინაშვილი (7), ბერძენიშვილი (2), ცეკვავა (4), დიდია (16), ტულუში (9), მარკოიშვილი (7), უგრეხელიძე (6), ტუჯანი (10), ჭოჭუა (12)
სტუ: სეფისკვერაძე (2), ბერაია, კოხრეიძე (9), ლ. ნოზაძე (14), ფოლადაშვილი, მაისურაძე (10), დევიძე (7), ახალკაცი (4), ბარბაქაძე (10)
*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

4 მარტი. ვერის ბაღი

**თსუ 91:84 ავიამშენი**

*26:28 25:12 16:36 24:8*

თსუ: ვეფხვაძე (5), დ. ბერიშვილი (10), ხეცურიანი (14), შანიძე (12), იმნაძე (8); ლეჟავა (17), მათიაშვილი (12), არწივიძე (9), ფანჩულიძე (2), მ. ბერიშვილი (2)
ავიამშენი: დ. ბერიშვილი (13), ხოშტარია (21), კეიდია, ბაბიაშვილი (23), სუხიშვილი (2); ნიკოლაძე (12), ი. ბერიშვილი (6), როდუმტა (7), მოსეშვილი
*მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით არეშიძე*
*კომისარი: მურმან ქურიძე*

**მაკაბი 113:111 დინამო**

*ძირითადი დრო: 100:100*

*30:24 22:19 30:29 18:28 13:11*

მაკაბი: დოლიძე (9), კორკოტაძე (13), პირველაშვილი (9), ს. შერმადინი (22), გ. შერმადინი (60); კორძაძე, ბარსეგიანი
დინამო: გულისაბედაშვილი (9), კუშელავა (7), ნ. ნოზაძე (33), მურჯიკნელი (4), კოლუაშვილი (10); ბადრიძე (14), ლაფანაშვილი (23), გვიმრაძე (11), სიგუა
*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მალხაზ ანდღულაძე*
*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

**ფეხბედნიერი** გამოდგა გია ხუბუას ვერის ბაღში გამოჩენა სტუდენტებისთვის. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ცხადია, თსუ-ს საქომაგოდ მივიდა დარბაზში — სტუდენტების მეტოქე ახლახან თასისა და ახალი წლის აქეთ ჩემპიონატში ყველა მატჩის მომგები „ავიამშენი“ იყო. თამაში ისეთი გამოდგა, თსუ-ს რექტორი უკმაყოფილო არ დარჩებოდა — ნუგზარ ჭეიშვილის გუნდმა ლამის წაგებული მატჩი შემოატრიალა და „ავიამშენი“ წელს პირველად დაამარცხა.

ამ მატჩში თითქმის ყველაფერი იყო. თავიდან ისეთი თანაბარი ბრძოლა გახურდა, ქულა-ქულაზე იყოო, რომ იტყვიან. მეორე მეოთხედში თსუ-მ იძალა, 15-ქულიანი ლიდერობაც დაიბევა, მაგრამ დიდი შესვენების შემდეგ „ავიამშენმა“ აიწყვიტა და გადამწყვეტი მეოთხედის დაწყებამდე უკვე ლევან მოსეშვილის გუნდი იგებდა სოლიდურად. მერე ისევ თსუ-ს ჯერი დადგა და მატჩიც სტუდენტების ქებული თამაშით ჩამთავრდა.

ამ მატჩს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა „ავიატორებისთვის“. წინა ტურში მათ ლიდერი „აზოტი“ დაამარცხეს, ჩამორჩენა ქულამდე შეამცირეს და პირველობის პრეტენზიაც გაუჩნდათ. მოსეშვილის გუნდს თსუ-ს დამარცხება ჰაერივით სჭირდებოდა, მაგრამ კლანჭებში მოქცეული მეტოქე ხელიდან დაუსხლტა და რეგულარული ჩემპიონატის მოგების შანსსაც თითქმის გამოემშვიდობა.

პირველ მეოთხედში ვერც ერთმა გუნდმა ვერ იძალა — „ავიამშენის“ ქულებს თსუ ოპერატიულად პასუხობდა და პირიქით. აი, მეორე მეოთხედში კი სტუდენტების უპირატესობა გამოიკვეთა, რაც, ცხადია, მაგრამ მოთამაშეების დამსახურებაა, მაგრამ ამაში „ავიატორებსაც“ მიუძღვით წვლილი. შიო ხეცურიანის მცირე გაბრწყინებას თსუ-ს 6-ქულიანი დაწინაურება მოჰყვა, თუმც მერე „ავიამშენის“ გამთამაშებლებმა დავით და ირაკლი ბერიშვილებმა ერთად მიიღეს ტექნიკურები და სტუდენტებმაც ბოძებული შანსი სოლიდურ უპირატესობაში გარდასახეს — 47:32.

ბერიშვილებს მეორე მეოთხედშივე 4-4 პერსონალური დაუგროვდათ და, ცხადია, ფრთხილობდნენ. შესაბამისად, „ავიამშენის“ შეტევებს სიმძაფრე მოაკლდა და დიდ შესვენებაზე თსუ 11-ქულიანი ჰანდიკაპით გავიდა — 51:40.

მესამე მეოთხედში მოსეშვილის შეგირდებმა არნახული ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს და რაღაც 6 წუთში უკვე თავად გალიდერდნენ — 62:60. ნიკოლაძე, ბაბიაშვილი, ხოშტარია, ტყუპი ბერიშვილები — თითქმის ყველა „ავიატორმა“ ამ ათწუთეულში სამქულიანი ჩააგდო და გადამწყვეტი მეოთხედის წინ უკვე მოსეშვილის გუნდი იგებდა — 76:67.

გადამწყვეტ მეოთხედშიც თითქოს „ავიამშენი“ ყოჩაღობდა, მოსეშვილის შეგირდებს ყველაფერი კარგად გამოსდიოდათ, სანამ თამაშის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთით ადრე თსუ-ელ ბესიკ ლეჟავას თამაშის სასწაული იშტა არ გაეხსნა. ერთი, ორი, სამი — ბესომ სულ რაღაც 2 წუთში სამი სამქულიანი გატყორცნა, რასაც მისი გუნდელებიც გამოეხმაურნენ და „ავიამშენს“ ლამის მოპოვებული გამარჯვება ხელიდან გამოეცალა.



გუშინდელი ტურის მეორე მატჩსაც გვარიანი დრამატიზმი ახლდა. პლეი ოფის მეოთხე საგზურისთვის მებრძოლი „მაკაბისა“ და „დინამოს“ შეხლა ოვერტაიმში გადაიზარდა. ყველაზე საინტერესო კი ის გახლდათ, რომ ჯამლეტ ხუხაშვილის ჯილა გიორგი შერმადინმა მიმდინარე სეზონის თავისევე რეკორდი გააუმჯობესა. ერთი კვირის წინ გამომცხვარ 52 ქულას მან გუშინ 60 მიაყოლა და სუპერლიგას საოცარი შედეგიანობით ბომბარდირობს.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგიმ ამდენი ჩააგდო, ოვერტაიმის გმირი მისი ძმა სოსო გახდა, ვინც არაერთი მნიშვნელოვანი ქულა მოიხვეჭა დამატებით დროში და „მაკაბის“ გაამარჯვებინა.

**ირაკლი პერტაია**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 15 | 14 | 1 | +337 | 29 |
| ავიამშენი | 15 | 12 | 3 | +206 | 27 |
| თსუ | 15 | 11 | 4 | +200 | 26 |
| დინამო | 15 | 4 | 11 | -190 | 19 |
| სტუ | 15 | 3 | 12 | -326 | 18 |
| მაკაბი* | 15 | 2 | 13 | -261 | 17 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ნბა-ში ცენტრიდანული ძალები ამოქმედდნენ

2 მარტი

**ვაშინგტონი 93:92 ატლანტა**
ვაშინგტონი: არენასი (19), სტივენსონი (9), ბატლერი (4), ჯეემისონი (24), ჰეივუდი (14); ბლეტჩი (7), დანიელსი (6), ტომასი (4), სონგაილა (2), ბუთი, მეისონი
ატლანტა: კლაქსტონი (2), ჯონსონი (20), მ. უილიამსი (21), სმიტი (24 ქულა, 14 მოხსნა, 7 დაფარება), რაიტი; ჩილდრესი (16), ფაჩულია (16 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა), ე. ჯონსონი, ლუ, შ. უილიამსი

**ტორონტო 81:94 მილუოკი**
ტორონტო: ბარნანი (16), ბოში (14)
მილუოკი: რედი (21), ბელი (19), ბოგუტი (18 ქულა, 11 მოხსნა)

**დენვერი 97:108 ჰიუსტონი**
დენვერი: ენტონი (30), აივერსონი (19)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (28), ჰოვარდი (18)

**ჩიკაგო 104:93 ორლეანი**
ჩიკაგო: გორდონი (27), დენგი (29), ჰაინრიხი (22)
ნიუ ორლეანი: პოლი (16), ჯეკსონი (13)

**მაიამი 85:82 დეტროიტი**
მაიამი: ონილი (31 ქულა, 15 მოხსნა, 6 პასი), უოლკერი (22)
დეტროიტი: პრინსი (22), ჰამილტონი (20), მაკდაიესი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ იორკი 106:97 გოლდენ სტეიტი**
ნიუ იორკი: მარბერი (34), რიჩარდსონი (30 ქულა, 12 მოხსნა), კარი (22)
გოლდენ სტეიტი: ჰარინგტონი (26)

**მინესოტა 83:109 იუტა**
მინესოტა: გარნეტი (22), დევისი(16)
იუტა: უილიამსი (21), გირიჩეკი (20)

**სან ანტონიო 98:74 ორლანდო**
სან ანტონიო: ჯინობილი (31), დანკანი (19 ქულა, 10 მოხსნა)
ორლანდო: თურქოღლუ (22), ნელსონი (18)

**ფინიქსი 115:90 ინდიანა**
ფინიქსი: სტუდემაიერი (23 ქულა, 10 მოხსნა), ნეში (23), ბელი (17)
ინდიანა: გრეინჯერი (20), ონილი (16)

**ლეიკერსი 108:116 საკრამენტო**
ლეიკერსი: ბრაიანტი (30 ქულა, 10 პასი), ოდომი (26 ქულა, 13 მოხსნა)
საკრამენტო: ბიბი (33), მარტინი (20)

**ფილადელფია 117:112 მემფისი**
*ძირითადი დრო 103:103*
ფილადელფია: იგუდალა (27), სმიტი (18)
მემფისი: გასოლი (31 ქულა, 13 მოხსნა, 6 პასი), მილერი (27)

3 მარტი

**ატლანტა 100:104 ნიუ იორკი**
*ძირითადი დრო 87:87*
ატლანტა: კლაქსტონი, ჯ. ჯონსონი (32 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), მ. უილიამსი (14), სმიტი (20 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), ფაჩულია (40 წუთი, 12 ქულა, 9 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი, 1 დაფარება); ჩილდრესი (14 ქულა, 10 მოხსნა), ლუ (5), ე ჯონსონი (3), შ. უილიამსი, სტუდემაიერი
ნიუ იორკი: მარბერი (38 წუთი, 9 პასი, 5 ჩაჭრა, 5 მოხსნა), რიჩარდსონი, ჯეფრისი (6), ფრაი (7), კარი (9); ფრენსისი (26), ბალკმანი (12 ქულა, 13 მოხსნა), კოლინზი (4), როუზი (2), ჯეიმსი, კატო

**ნიუ ჯერსი 88:96 ბოსტონი**
*ძირითადი დრო 83:83*
ნიუ ჯერსი: კარტერი (25 ქულა, 10 მოხსნა), ჰაუსი (14)
ბოსტონი: ჯეფერსონი (32 ქულა, 18 მოხსნა), პირსი (17), ვესტი (15)

**მემფისი 89:92 დეტროიტი**
მემფისი: მილერი (24), გასოლი (22 ქულა, 15 მოხსნა)
დეტროიტი: ბილაფსი (19), ბრინსი (17), ვებერი (13)

**კლივლენდი 120:97 ტორონტო**
კლივლენდი: ჯეიმსი (36), ჰიუზი (27), ვარეჟაო (14 ქულა, 11 მოხსნა)
ტორონტო: ბოში (25), დიქსონი (24)

**ჰიუსტონი 74:97 სან ანტონიო**
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (21), სნაიდერი (14)
სან ანტონიო: დანკანი (26), ფინლი (14)

**დალასი 103:98 ორლანდო**
დალასი: ტერი (29 ქულა, 15 პასი), ნოვიცკი (24 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ჰოვარდი (21)
ორლანდო: ჰოვარდი (25 ქულა, 10 მოხსნა), თურქოღლუ (19), ნელსონი (17)

**კლიპერსი 87:64 ინდიანა**
კლიპერსი: მაგეტი (20), ბრენდი (17 ქულა, 12 მოხსნა), კამანი (16)
ინდიანა: ტინსლი (16)

**პორტლენდი 96:104 საკრამენტო**
პორტლენდი: რენდოლფი (24)
საკრამენტო: მარტინი (33), არტესტი (23)

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა“ პარასკევს და შაბათს წაგება წაგებას მიაბა და ზედიზედ 5 დაუგროვდა. „ქორებს“ შეეძლოთ, „ვაშინგტონიც“ დაემარცხებინათ და „ნიუ იორკიც“, მაგრამ პირველთან კინკილა ქულით წააგეს, მეორესთან კი ასევე დაძაბული ჯახი ოვერტაიმში დათმეს. მეორე შეხვედრაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რა მწვავედ განიცდის „ატლანტა“ ხეირიანი გამთამაშებლის არყოლას — ნიუიორკელი გამთამაშებლებისგან — სტივენ მარბერისა და სტივ ფრენსისიგან ჯორჯიელებმა ჯამში 64 ქულა მიიღეს, თანაც ოვერტაიმული 17 ქულიდან 11 მარბერიმ ჩააგდო, 6 კი ფრენსისმა მიითვალა.



დირკ ნოვიცკი ფარქვეშ არ აპარპაშებს

რაც შეეხება ზაზა ფაჩულიას, მაიკ ვუდსონმა ჩვენებური ცენტრი დამწყებ ხუთეულში დააბრუნა, მას შემდეგ რაც „ვაშინგტონთან“ დაიმტვრა უხეირო ლორენცენ რაიტი. „ნიუ იორკთან“ ზაზამ 135-კილოგრამიან ოპონენტ ედი კარის ფარქვეშ დუელი კი მოუგო, მაგრამ არა იმდენად, რომ მატჩის ბედი პირადად გადაეწყვიტა.

ასოციაციის სხვა გამორჩეული ცენტრებიც ვახსენოთ. ჩემპიონი „მაიამი“ გაცილებით მონდომებით ათამაშდა, მას შემდეგ, რაც ლიდერი დუეინ ვეიდი დაემტვრა. განსაკუთრებით ვეებერთელა შაკილ ონილმა დაატყო თავისი ტორი „მაიამის“ მონაწილეობით გამართულ თამაშებს. ფლორიდელებმა პარასკევს საკმაოდ მოულოდნელად „დეტროიტი“ დასცეს, შაკილ ონილმა კი სეზონის ორი რეკორდი — 31 ქულა და 15 მოხსნა გააკეთა.

შაკზე ბევრად ასაკოვანმა ცენტრმა დაკემბე მუტომბომ თავის „ჰიუსტონს“ იაო მინის არყოლა გადაატანინა. 40 წლის აფრიკელმა „დუპერთანაც“ იპარპაშა ფარქვეშ — 22 ბურთი მოხსნა და ასოციაციის ისტორიაში პირველი მოთამაშე შეიქნა, რომელმაც 40 წლის ასაკში 20-ზე მეტი მოხსნა მოინაგრა.

**კოტე ყორშია**

## მსოფლიოს თასი ვარშავა. 3-4 მარტი

# ხუთჯერ ცირეკიძე

## ირაკლიმ ვარშავა გაათეთრა

### 60 კგ

ტრავმიანობის შემდეგ ვახტანგ ხოსიტაშვილი ტატამს დაუბრუნდა და პირველივე ცდაზე მედლამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა. ოქროს გზა მეოთხედფინალში რუსმა რუსლან კიშმახოვმა გადაუღობა. იქამდე ხოსიტაშვილმა ბრიტანელი კევინ დევისი და თურქი ქემალ ოგუზი ჩამოიცილა, თან ორივეს იპონით სძლია. რეპეშაჟშიც მშვენივრად დაიწყო — უკრაინის სახელით მოჭიდავე გიორგი ძანტარაია დააიპონა და ბრინჯაომდე ერთი მოგებაღა დარჩა, მაგრამ ბელგიელ ფაბრის ფლამანდთან იუკოთი დამარცხდა.

### 66 კგ

ევროპის ჩემპიონ ზაზა კედელაშვილს მხოლოდ ორჯერ მოუხდა ტატამზე გასვლა. სამხრეთაფრიკელი ადრიან ჰამონდის ბეჭებზე გაკვრის შემდეგ მოულოდნელად თავად დამარცხდა პორტუგალიელ პედრო დიასთან და რადგან მერე ეს უკანასკნელიც მალევე შეაჩერეს, ბრინჯაოს შანსიც დაკარგა.

### 73 კგ

ამ წონაში ხაბარელმა ორი შეგირდი აჭიდავა. მედლამდე ვერც ერთი ვერ მივიდა, მაგრამ მინდია ხომიზურის გამოსვლა ალბათ მაინც დადებითად შეფასდება. 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ნაკრების მეორე ნომერმა ერთი წონით მაღლა საკმაოდ კარგი დებიუტი მოიწყო. ხოსიტაშვილის მსგავსად, ხომიზურსაც მეოთხედფინალში დაუცდა ფეხი, მომავალ ბრინჯაოსან თურქთან, სეზარ ჰუისუზთან. იქამდე ჩვენებურმა ორი მეტოქე ჩამოიცილა: ბრიტანელი კრეიგ ევერსი და ჩეხი ტომაშ ვესელი. ბრინჯაოს გზის დასაწყისში კი იაპონელ იასუტაკა ნარიტასთან ვერაფერს გახდა და საბოლოოდ მე-7 ადგილზე გავიდა.

მეორე ქართველმა ბექა ბაიდაურმა პირველივე ბრძოლაში დაასრულა ოქროზე ფიქრი. მისმა მძლეველმა რუსმა სალამუ მეჯიდოვმა ნახევარფინალსაც უწია, რითაც ბაიდაურს ბრინჯაოს შანსი დაუტოვა. თავად კი მოგვიანებით ჩემპიონობაც იზეიმა. ბექამ რეპეშაჟში სლოვენიელ როკ ტაიმანს სძლია, ხოლო ებრაელ იოელ რაზვოზოვთან ახლარაფერი გამოუვიდა.

### 81 კგ

ევროშემადგენლობის ორი ყველაზე რეალური კანდიდატი გიორგი ბაინდურაშვილი და საბა გავაშელიშვილი მედლისთვის ერთმანეთს დაეჭიდნენ. ეს ბრძოლა რეპეშაჟის ფინალში შედგა და ბაინდურაშვილის გამარჯვებით დასრულდა. ბრინჯაოს მედალთან ერთად გიორგიმ ნაკრების პირველნომრობაც გაინაღდა. საბა კი მეხუთე ადგილზე დარჩა.

აქვე 81-კილოგრამიანი ქართველების ვარშავულ ნაჭიდავებზე უფრო დაწვრილებით. ვთქვათ, ბაინდურაშვილმა ძირითად ბადეში ფინელი პეტერ ლუკაინენი და ებრაელი ავისარ შეინმანი ჩამოიცილა. რეპეშაჟში კი პოლონელ ლუკაშ ბლახთან მეოთხედფინალური მარცხის შემდეგ გადაერთო. ბრინჯაოს გზა როგორც დასრულდა, მოგახსენეთ. იქამდე კი გიორგიმ სლოვენიელ მარკო პეტრიჩსა და ძლიერ ბრაზილიელ ფლავიო კანტოს დაასრულებინა კვარცხლბეკზე ფიქრი.

გავაშელიშვილი ნახევარფინალამდე სულ იპონ-იპონ მივიდა. აზერბაიჯანელი ელხან რაჯაბის, პოლონელი ლუკაშ ბალანდასა და უნგრელი ზოლტან კალაის დამწუხრების შემდეგ იგი ფრანგმა ენტონი როდრიგესმა შეაჩერა და რეპეშაჟის ფინალში გადაიყვანა, იქ კი...

### 90 კგ

ამ წონაში ირაკლი ცირეკიძე ნაკრების უპირობო ლიდერია და ევროპის ჩემპიონატის წინ თავისი ძალა ერთხელაც დაამტკიცა. ვარშავულ ტატამზე ხუთჯერ გავიდა და ხუთჯერვე იმარჯვა. ამასთან, საჭიდაო დრო მთლიანად მხოლოდ ერთხელ გამოიყენა, მასპინძელ კრჟიშტოფ ვეგლარზთან, მეოთხედფინალში. დანარჩენი ოთხი მეტოქე კი ვადაზე ადრე გააკრა ბეჭებზე. პირველი მათგანი უნგრელი ტამას მადრაში იყო, მეორე — ბელარუსი ევგენი სიომაჩკინი, მერე ზემოთ ნახსენები ვეგლარზი, ხოლო ნახევარფინალსა და ფინალში ფრანგი ივ დაფრევილი და ბელარუსი ანდრეი კაზუსიონაკი.

### 100 კგ

ლევან ჟორჟოლიანი და ლევან რაზმაძე ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. ძირითად ბადეში ორივე მეოთხედფინალში შეაჩერეს. ავსტრიელი სიმონ შვეინბერგერისა და პოლონელი პიოტრ გოლუსის წამქცევი რაზმაძე ტიტულუხვმა რუსმა რუსლან გასიმოვმა დატოვა ნახევარფინალს მიღმა. რუსი დიმიტრი კაბანოვისა და ფრანგი კირილ მარეს მომგები ჟორჟოლიანი კი ასევე სახელიანმა იტალიელმა ფრანჩესკო ლეპრემ. ბრინჯაოს გზაზე რაზმაძემ გერმანელი დიმიტრი პეტერსი, ბრიტანელი პეტერ კოუსინსი და ლეპრე ჩამოიცილა. ჟორჟოლიანმა კი სლოვაკი ზოლტან პალკოვაცი, უკრაინელი ვიტალი ბუბონი და ბრაზილიელი ლუჩიანო კორეა.

### +100 კგ

ნაკრების ორი უმთავრესი კონკურენტიდან უკეთესი შედეგი ლაშა გუჯეჯიანმა აჩვენა. ბელარუსი იური სნეავსკოისა და ბრიტანელი ჯო დელაჰეის დაიპონების შემდეგ პოლონელ მიხალ პოკრივკას იუკოთი სძლია და ნახევარფინალში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ რუსთან, ალექსანდრ მიხაილინთან ველარაფერი გააწყო. ამ წაგებით გუჯეჯიანი რეპეშაჟის ფინალში გადაერთო და ზვიად ხანჯალიაშვილის ბადეში ჩაჯდა. ამ დროს ზვიადი ბრაზილიელ დანიელ ონორატოს ხვდებოდა და თუ აჯობებდა, ბრინჯაოს ქართული ბრძოლა შედგებოდა. სამწუხაროდ, ევროა-მერიკულ წყვილში გამარჯვებული ჩვენებურის მეტოქე დარჩა და ხანჯალიაშვილმა კვარცხლბეკის შანსი დაკარგა. ერნანდესამდე ჩვენებურმა რეპეშაჟში იტალიელი ალესანდრო ფრეზა დაამწუხრა. ძირითად ბადეში კი პირველივე მეტოქესთან, რუს მაქსიმ ბრიანოვთან დამარცხდა. გუჯეჯიანმა ბრინჯაოს მედალი ბრაზილიელის ძლევით მოიპოვა. დღის ბოლო ფინალში კი ჩვენი მძიმეწონოსნების მძლეველი რუსები გავიდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### 60 კგ

1 რუსლან კიშმახოვი (რუსეთი)
2 ლასლ [illegible] (უნგრეთი)
3 ფაბრის ფლამანდი (ბელგია)
3 ბენს ზომბორი (უნგრეთი)

5 ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო)

### 66 კგ

1 ჟოაო დერლი (ბრაზილია)
2 ოსკარ პენასი (ესპანეთი)
3 ალიმ გადანოვი (რუსეთი)
3 ტოშიაკი უმეცუ (იაპონია)

9 ზაზა კედელაშვილი (საქართველო)

### 73 კგ

1 სალამუ მეჯიდოვი (რუსეთი)
2 ლეანდრო გილეირო (ბრაზილია)
3 სეზარ ჰუისუზი (თურქეთი)
3 კრისტოფ სტანგლი (ავსტრია)

7 მინდია ხომიზური (საქართველო)

13 ბექა ბაიდაური (საქართველო)

### 81 კგ

1 ალენ შმიტი (საფრანგეთი)
2 ენტონი როდრიგესი (საფრანგეთი)
3 გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)
3 ელხან რაჯაბი (აზერბაიჯანი)

5 საბა გავაშელიშვილი (საქართველო)

### 90 კგ

1 ირაკლი ცირეკიძე (საქართველო)
2 ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი)
3 ვინსტონ გოროდნი (ბრიტანეთი)
3 ელხონ მამადოვი (აზერბაიჯანი)

### 100 კგ

1 პრჟემისლავ მატიაშეკი (პოლონეთი)
2 რუსლან გასიმოვი (რუსეთი)
3 ლევან ჟორჟოლიანი (საქართველო)
3 ლევან რაზმაძე (საქართველო)

### +100 კგ

1 ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
2 მაქსიმ ბრიანოვი (რუსეთი)
3 ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3 ჟან-სებასტიან ბონვუასინი (საფრანგეთი)

7 ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო)

ავტორბოლა

# კასტროლის თასი თავართქილაძისაა



**გუშინ** კუს ტბისკენ მიმავალ სერპანტინს საქართველოში გამორჩეული ეკიპაჟების ავტოქარავანი შეუყვა და ამით დაიწყო წლის ბოლომდე გაჭიმული ჩვენი საავტომობილო ფედერაციის კალენდრის პირველი დღე.

კუს ტბის მისადგომებთან 17 ეკიპაჟი დალაგდა, მაგრამ პირველი საკვალიფიკაციო ასვლის შემდეგ, ჩქაროსნულ რალის ერთით ნაკლები თექვსმეტი ავტომრბოლი შემორჩა. სანამ ჩვენი ტოპმრბოლები კუს ტბის აღმართს გაიბილიკებდნენ, მანამდე უსაფრთხო მოძრაობის პროპაგანდის პროგრამით საჩვენებელი ასვლა მოეწყო, მერე კი წამზომის და ნამდვილი შეჯიბრის დროც დადგა. აქვე ვთქვათ, რომ ეტაპს „კასტროლის თასი" ერქვა და ორგანიზატორებმა მის სანახაობრიობაზე ტრასის მიღმა შოუს მოწყობით იზრუნეს.

ეტაპი კი ოთარ თავართქილაძემ მოიგო თავისი „ჰონდა სივიკით". თავართქილაძემ მეათედი წამებით აჯობა არჩილ ბიძინაშვილს, ვინც მანამდე საკვალიფიკაციო ეტაპს ლიდერობდა. პოდიუმის მესამე ადგილი კი საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტის შალვა ოგბაიძის ვაჟმა გიორგიმ დაიკავა.

**ბაჩო სვანიძე**





გიორგი ასათიანი ძველებურად ჩაუქრობს

# მექანიკური არითმეტიკა

## ქართული შვიდკაცა ტუნისში განახლდება

როდესაც ფრანგი კლოდ სორელი საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა, შვიდკაცა რაგბი პრიორიტეტი იყო. მეტიც, 2001 წლის მსოფლიოს თასზე ჩვენებურებმა მე-10 ადგილი დაიკავეს, აღარაფერს ვამბობთ მსოფლიო ეტაპებზე რიგიან თამაშზე. ერთი სიტყვით, სამი-ოთხი წლის წინ საქართველოს შვიდკაცა ნაკრები გრანდების მარაქაში ტრიალებდა და ავტორიტეტიც ჰქონდა. მერე რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა და პოლიტიკა შეიცვალა და შვიდკაცა რაგბი აღარ იყო პრიორიტეტული. ახლა კი, როგორც ჩანს, ჩვენები საშვიდკაცო ელიტაში დაბრუნებას სერიოზულად აპირებენ და საამსეზონო კალენდარიც შეადგინეს. საქართველოს შვიდკაცა ნაკრებს უახლოესი ტურნირი 15-16 მარტს ტუნისში უწევს. ქართველების მწვრთნელები კახა ალანია და მამუკა ტყეშელაშვილი არიან, ხოლო ნაკრების მენეჯერი მოქმედი მორაგბე, თბილისის ლოკომოტიველი გიორგი „მეხანიკა“ ასათიანია. ჩვენც სწორედ **გიორგი ასათიანს** გავესაუბრეთ და ეს საუბარი ტუნისის ტურნირით დავიწყეთ

— ტუნისის ტურნირი არც მსოფლიო ეტაპებს განეკუთვნება და არც სარეიტინგო ქულები ითვლება, რატომ გადაწყვიტეთ იქ წასვლა?

— თავიდანვე გეტყვით, რომ რაგბის კავშირი სერიოზულად დაინტერესდა ჩვენში შვიდკაცა რაგბის ხელმეორე აღორძინებით და განრიგი შეადგინა. ჩვენ არაფრის მომცემ ტურნირებზე აღარ ვითამაშებთ და კალენდარიც სტრატეგიული თვალსაზრისით შევადგინეთ. მართალია, ტუნისის შვიდკაცა არც ერთ სარეიტინგო შეჯიბრში არ წერია, მაგრამ დიდი ხნის პაუზის შემდეგ ეს ტურნირი მოსამზადებლად გვჭირდება. ტუნისში ოთხთა ტურნირი ჩატარდება, სადაც საქართველოს ნაკრები, როგორც მაღალი დონის გუნდი, საგანგებოდაა დაპატიჟებული. ჩვენს გარდა ითამაშებენ მასპინძლები, ფრანგები და რუსები. საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრებები კი ევროპის შვიდკაცა ეტაპებზე ჩვენი ძირითადი მეტოქეები არიან, მათთან მოსამზადებელ ტურნირზე გაჯიბრება ძალიან წაგვადგება.

— წლეულს რამდენ ტურნირზე ითამაშებთ?

— ტუნისის შვიდკაცას გარდა, ლონდონის და ლუბლიანის მსოფლიო და ევროპის შვიდკაცას პოლონეთის და თბილისის ეტაპებზე ვითამაშებთ. ვფიქრობთ, რომ ამ ოთხ ეტაპზე თამაშით საკმარის სარეიტინგო ქულებს მოვიპოვებთ, გაისად გასამართ მსოფლიოს თასზე გასასვლელად რომ გვეყოს.

— საერთოდ, გრანდები შვიდკაცა რაგბიში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ტრადიციული ნაკრების წევრებს არ ათამაშებენ, ჩვენთან კი აქამდე პირიქით იყო. ახლა როგორ არის საქმე?

— ჩვენც ალბათ ამ ტენდენციას გავყვებით, მაგრამ ეროვნული ნაკრებიდან ორი-სამი გამოცდილი ლეგიონერის დახმარებაზეც არ ვიტყოდით უარს. ამ ეტაპზე კი საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე მორაგბეების იმედად ვართ. ჩვენ უკვე გვყავს გამოკვეთილი ბირთვი, რომელთა მხრებზეც გადაივლის წლევანდელი სეზონი. მსოფლიოს თასზე და დიდ ტურნირებზე კი ეროვნული ნაკრებიდანაც დავიმატებთ გამოცდილ მოშვიდკაცეებს.

— ოთხი ეტაპი, რომლებზეც ითამაშებთ, საკმარისია იმისთვის, რომ მსოფლიოს თასზე გახვიდეთ?

— საქართველოს უკვე აქვს საკმაო რეიტინგი, ამასთან ევროპის საშვიდკაცო ეტაპს ტრადიციულად ვიგებთ და მსოფლიო ეტაპებიდან ერთში მაინც რომ ავიღოთ სარეიტინგო ქულა, საკმარისი იქნება. ერთი სიტყვით, ყველაფერი გათვლილი გვაქვს.

**ბაჩო სვანიძე**

### საქართველოს ნაკრები ტუნისის შვიდკაცაზე

ალექსანდრე თოდუა, დავით ჩიტიძე, ბექა სარდანაშვილი, ლაშა ფირფილაშვილი (ყველა ლელო), ზვიად კობერიძე, გიორგი ჯორჯაძე, ირაკლი გეგენავა, სანდრო ნიჟარაძე (ყოჩები), დავით ჟამუტაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი (ხულიგანა), ლექსო გუგავა (ლოკომოტივი), დავით კიკნაძე (უგუნდო)



# ევროპის ჩემპიონატი

## ბირმინგემი. დიდი ბრიტანეთი. 2-4 მარტი

# შეხტა, შეიკუნტრუშა

## ... ნუ გიკვირთ, ჩემი რომ მიკვირს...

**ევროპის** ერთ-ერთ უგამორჩეულეს სამძლეოსნო დარბაზში, ბრიტანულ ბირმინგემში პარასკევს კონტინენტის ჭერქვეშა პირველობა დაიწყო.

ტურნირს ცნობილი სახე-სახელები არ აკლია და შუა ინგლისის მძლეოსნობის დიდად პატივისმცემელი აუდიტორიაც ერთგულად დაიარება მათ სანახავად, ასე რომ ევროპის ჩემპიონატს, ასე ვთქვათ, ყველაფერი თავის ადგილზე აქვს.

უცნობილესმა სამძლეოსნო უნივერსალმა, ქერა თმაწარბა შვედმა კაროლინა კლუფტმა არავისდა გასაკვირად მოიგო თავისი ჭერქვეშა პირველობებზე „მორგებული“ სახეობა, შვიდჭიდიდან ხუთჭიდამდე დამცრობილი შეჯიბრი და მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად ყველაფერი აქვს მოგებული, თავის შთაბეჭდილებებს ახლა მაინც აღფრთოვანებით კილოში უკომენტარებდა ჟურნალისტების:

„უდაძაბულესი შეჯიბრი იყო. ასეთის ასე ლამაზად მოგება ყოველთვის გასახარი და საამაყოა, გინდა ოლიმპიადა იყოს, გინდა ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონატი და გინდა პატარა დაბის მოსახლეთა შორის გამართული პირველობა — სახეგაბრწყინებული ღლურტულებდა შვედქალი ნასირბილევს — გადასარევი შეჯიბრი გამოვიდა და ეს ჩემი კონკურენტების, პირველ რიგში კი კელის დამსახურებაა. ის ერთთავად ფეხებზე მაბიჯებდა და ყველაფრის უკეთ კეთებას მაიძულებდა. ასე მაღალი ქულები რომ დავაგროვე, ესეც კელის დამსახურებაა.“

ბრიტმა მრავალჭიდოსანმა კელი სოტერტონმა მართლაც დიდი „გაიქეცი-გამოგეკიდები“ გაუმართა სახეობის დედოფალ კაროლინას, განსაკუთრებით ხუთი სახეობიდან უკანასკნელში — სიგრძეზე ხტომაში, როცა თავის ერთ-ერთ ცდაზე გვარიანად შორს, 6,51 მეტზე ისკუპა. კლუფტი წლეულსაც ფორმაშია და არაერთი კარგი ნახტომი შეუსრულებია, მაგრამ ახლა იძულებული გახდა, საკუთარი თავისთვისაც ეჯობნა და აქამდე რომ არ გადამხტარა, იმსიშორეს ალებეჭდა ფხვიერ ქვიშაზე თავისი სხეულის კვალი. მართლაც, შეძლოგომ 6,59-მეტრიანი ნახტომი შეასრულა და ამის წყალობით მოიგო კიდეც. საბოლოოდ მან 4944 ქულა (მე-3 შედეგი ქალთა ჭერქვეშა ხუთჭიდობაში) მოიხვეჭა — სოტერტონმაც ასევე ბარაქიანი, 4927-ქულიანი მოსავალი აიღო.

კიდევ უფრო დიდი აჟიოტაჟი ასტეხა კანჭ და თეძომაღალი ტია ელებოს გამოსვლამ. სათვალემოუხსნელმა ბელგიელმა მოსიმაღლემ არაერთგზის დაამტკიცა, წიგნისჭია სტუდენტი გოგონას შესახედაობის მიუხედავად დიდთა ძლევის და მაღალ მწვერვალთა დაპყრობის ქალური შნო და ილაჯი რომ აქვს. შარშან ევროპის ჩვეულებრივ და არა ჭერქვეშა პირველობაზე ტიამ თვით შვედ კაისა ბერგკვისტს რომ აჯობა, იმის შემდგომ მისი აღარავის აღარაფერი უკვირს, მაგრამ ბირმინგემში მან ხალხს მაინც დააღებინა პირი — ერთი ამოსუნთქვით (ანუ ნახტომით) დაძლია ჯერ 201-სანტიმეტრიანი თამასა, შემდეგ ასევე შეუცდომლად გადაევლო 203 სანტიმეტრს, ამას 205-სანტიმეტრიანი ნიშნულზე ასევე ერთცდიანი წარმატებული სკუპი მიაყოლა და მერე სულ გათამამდა, სულისშემხუთველ 209 სანტიმეტრზე „გაიქაჩა“. მართალია, ამ მაღალ ციტადელს ამაოდ უიერიშა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დარჩა თვითონაც და ხალხიც დალალა ტაშისცემაში — 205 სანტიმეტრი ხომ მისი პირადი, ასევე ბელგიის ყველა დროის და ამ სეზონის საყოველთაო რეკორდია.

პარასკევს და შაბათს ტაშმიძღვნილი სხვა ქალებიც ვახსენოთ: კაროლინა კლუფტის თანამემამულემ, 26 წლის თარჯმორბენალმა სუზანა კალერმა თარჯებით გაწყობილი 60 მეტრი 7,87 წამში მოიფრინა და თავი გამარჯვებით რომ დაიგვირგვინა, გახარებულ-გაოცებული შეჰყურებდა ხელებს — აქადა, ისე ცუდად დავიწყე სირბილი, რომ პირველ თარჯთან სულ უკანასკნელი მივედი და ნუ გიკვირთ, ჩემი პირველობა მეც რომ მიკვირსო.

ბრიტანეთის სამძლეოსნო მღელვარებით ასახელა და ტრიბუნებს ფეხზე წამოაყენა ოვაცია მოსწყვიტა 400-მეტროსანმა ნიკოლა სანდერსმა. 24 წლის ბრიტგოგომ 400 მეტრი 50,02 წამში დაფარა და ბირმინგემში გაუსაჩივრებელი პირველობა, ჭერქვეშა ტურნირების ყველა დროის შედეგებში კი საპატიო მეხუთე ადგილი დაიჭირა.

ევროპირველობის მასპინძელ ქვეყნის ყულაბაში კიდევ ერთი ოქრო ჩაუწკრიალა შავშავმა სამხტომელმა ფილიპის იდოუმ და თანაც ისეთი შედეგი აჩვენა, ხალხმა სახელის კაგანტი და მომავალი უწოდა, განსაკუთრებით ოპტიმისტებმა კი მსოფლიო სამხტომში შვედური ხანის დასასრულს და ბრიტანულის დაბრუნებაზე ჩამოაგდეს სიტყვა. ბრიტანელი ჯონათან ედვარდსის წასვლის შემდეგ აქ ხომ შვედი კრისტიან ოლსონი ბატონობს და თუნდაც წლეულს, საყოველთაო საუკეთესო შედეგი, 17,44 მეტრი შვედის გახლდათ. „ამ ჩვენმა“ იდოუმ კი არც აცია, არც აცხელა, სამი სკუპის შემდეგ 17,55 მეტრისქიდან აღმართა ხელები.

**კოტე ყორშია**

| | | |
|---|---|---|
| **კაცები** | | |
| ბირთვის კვრა | მიკულაშ კონოპკა (სლოვაკეთი) | 21,57 |
| 60 მ თარჯრბენი | გრეგორი სედიკი (ჰოლანდია) | 7,63 |
| სამხტომი | ფილიპს იდოვუ (ბრიტანეთი) | 17,56 |
| ჭოკით ხტომა | დანიელ ეკერი (გერმანია) | 5,71 |
| 400 მ | დევიდ გილიკი (ირლანდია) | 45,52 |
| 3000 მ | კოსიმო კალიანდრო (იტალია) | 8:02,44 |
| **ქალები** | | |
| 60 მ თარჯრბენი | სუზანა კალერი (შვედეთი) | 7,87 |
| ხუთჭიდი | კაროლინა კლუფტი (შვედეთი) | 4944 |
| სიმაღლეზე ხტომა | ტია ელებო (ბელგია) | 2,05 |
| სიგრძეზე ხტომა | ნაიდე გომეში (პორტუგალია) | 6,89 |
| 1500 მ | ლიდია ჩოჟეჩკა (პოლონეთი) | 4:05,13 |
| 400 მ | ნიკოლა სანდერსი (ბრიტანეთი) | 50,02 |



ტია ელებომ ბირმინგემში 2 მეტრი 5 სანტიმეტრით დაბლა მოიტოვა

AFP ბირმინგემიდან

# მიდის და მიაქვს: გააჩერებს ვინმე?!

**კაცები**
დუბაი. საამიროები. ჰარდი
საპრიზო 1 426 450 $

**ნახევარფინალი**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტომი ჰაასი 5, გერმანია) 6:4 7:5; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) 7:5 6:2

**ფინალი**

**ფედერერი** — იუჟნი 6:4 6:3


როჯერ ფედერერი
AFP დუბაიდან

როჯერ ფედერერმა დუბაიში უკანასკნელ ხუთ წელიწადში მეოთხედ იმარჯვა და აგერ უკვე მერამდენედ აღაფრთოვანა ადგილობრივი თუ ტელეეკრანებთან შეკრებილი ხალხი თავისი სუპერთამაშით.

შვეიცარიელმა მთელი კვირა თითქმის უპრობლემოდ გაიარა, ხოლო ნახევარფინალსა და ფინალში დიდებულ ფორმაში მყოფი ტომი ჰაასისა და მიხაილ იუჟნის თავგამოდებული წინააღმდეგობაც არად ჩააგდო და ამ ორთან სეტიც კი არ დათმო. განსაკუთრებით რუსის თამაშა გამოსაყოფი, რომელიც ზედიზედ მეორე ფინალს თამაშობდა და დუბაიში რაფაელ ნადალსაც მოუგო... მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა და „მხიარული როჯერის“ პირისპირ დადგა, ისევ ვერაფერი დაუპირისპირა ალპელს და მასთან ცხრიდან მეცხრედ წააგო.

ფედერერი კი მორიგ რეკორდს უმიზნებს — მისმა წაუგებელი მატჩების სერიამ უკვე 41-ს უწია, რაც ჩოგბურთის ისტორიაში მეოთხე შედეგია. ამ მაჩვენებლით ის ბიორნ ბორგს დაეწია. რეკორდი კი არგენტინელ გილერმო ვილასს ეკუთვნის, რომელმაც 1977 წელს 46 მატჩიანი მოგებათა სერია გამოაცხო. ფედერერზე ხანგრძლივი სერიები ასევე აქვთ ივან ლენდლს (44 მატჩი 1981-82 წლებში) და ჯონ მაკინროის (42 მატჩი 1984 წელს).

„ახლა კარგ ფორმაში ვარ, თან ინდიანა უელსში უკანასკნელ სამ წელიწადში ვიგებდი და იმედი მაქვს, ამ რეკორდსაც შევწვდები“ — მორიგ მიღწევას უმიზნებს გენიალური ალპელი.

ნეტავ, რამდენს ეპარება ეჭვი იმაში, რომ ფედერერი ამ რეკორდს ვერ დაამხობს?

**კაცები**
ლას ვეგასი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 416 000 $

**ნახევარფინალი**

**იურგენ მელცერი** (4, ავსტრია) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:7 6:2 7:6; **ლეიტონ ჰიუიტი** (2, ავსტრალია) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:5 6:1

დიდი იმედები კი ჰქონდათ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს, რომ ლას ვეგასში წმინდა რუსულ ფინალს ნახავდნენ, მაგრამ საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ გადამწყვეტ მატჩში ერთი სლავიც ვერ გავიდა.

ერთის მხრივ, ეს ევგენი კოროლიოვის გამოუცდელობის, მეორეს მხრივ კი მარატ საფინის ამაზრზენი თამაშის ბრალია. პირველმა ვერ შეძლო თავისი შანსის გამოყენება და გადამწყვეტ სეტში 5:3 დაწინაურების მიუხედავად, როგორღაც „მოახერხა“ იურგენ მელცერთან წაგება.

საფინმა კი თითქმის სამჯერ მეტი უნებლიე შეცდომა დაუშვა, ვიდრე ლეიტონ ჰიუიტმა (რუსმა — 36, ოზმა — 13) და ფინალშიც ავსტრალიელი გავიდა, რომელსაც ახლა შანსი აქვს, შარშანდელ ფინალში დამარცხებისთვის იძიოს შური მელცერზე.

**კაცები**
აკაპულკო. მექსიკა
თიხნარი საპრიზო 757 000 $

**ნახევარფინალი**

**კარლოს მოია** (8, ესპანეთი) — ხუან-კარლოს ფერერო (1, ესპანეთი) 6:2 2:6 6:3; **ხუან-იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 4:6 5:5 *(უარი)*

**ფინალი**

**კალერი** — მოია 6:3 7:6

აკაპულკოს თიხნარი ესპანურ-არგენტინული სკოლების დაპირისპირებად იქცა — გრუნტის უმთავრესმა სპეციალისტებმა რეპუტაცია გაიმყარეს და ნახევარფინალები მხოლოდ თავიანთი წარმომადგენლებით დააკომპლექტეს.

საბოლოოდ ფინალში ტურნირის ექსჩემპიონები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს — ორგზის გამარჯვებული კარლოს მოია და აკაპულკოში ერთხელ ნატრიუმფალი ხუან-იგანსიო ჩელა. ამ ჯახში მოგებული არგენტინელი დარჩა, რომელმაც კარგად შეირგო ბედის მიერ ნახევრფინალში მიძღვნილი საჩუქარი (თანამემამულე აგუსტინ კალერისთან აგებდა, მაგრამ ამ უკანასკნელს ფეხი გადაუბრუნდა და თამაში ველარ გააგრძელა) და თითქმის სამწლიანი შესვენების შემდეგ პირველი ტიტული გაინაღდა.

სხვათა შორის, ზედიზედ მესამე კვირაა, რომელიმე ტურნირს არგენტინელი იგებს — ორი კვირის წინ გილერმო კანასმა (ბრაზილიურ კოსტა დე საიუპეში), გასულ კვირას კი ხუან მონაკომ (ბუენოს-აირესში) იხეირეს.

**ქალები**
დოჰა. ყატარი. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

**ნახევარფინალი**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი 4, სერბეთი) 6:7 6:2 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა** (2, რუსეთი) — დანიელა ჰანტუხოვა (6, სლოვაკეთი) 6:4 6:2

**ფინალი**

**ენინი** — კუზნეცოვა 6:4 6:2

ჟუსტინ ენინს უყვარს და კარგადაც გამოსდის არაბეთის ნახევარკუნძულზე თამაში. ამ რეგიონში ჭინკა ბელგიელმა მხოლოდ ერთხელ იგემა დამარცხების სიმწარე, ისიც სამი წლის წინ და სხვათა შორის სვეტლანა კუზნეცოვასთან.

სამაგიეროდ, ენინმა აქ უკვე 22 მატჩი მოიგო და სამჯერ დუბაიში იჩემპიონა, რასაც ახლა დოჰაში ტრიუმფიც დაუმატა. თან ბელგიელმა შურიც იძია და კუზნეცოვა უიოლესად წააქცია. ეს ჟუსტინის მე-14 წარმატება იყო კუზნეცოვასთან გამრთული 15 მატში.

სეზონის დასაწყისის გამოტოვების შემდეგ ენინს ველარ უმკლავდებიან — წლეულს მხოლოდ მესამე ტურნირზე მოთამაშე ბელგიელმა მეორე ტიტული მოიპოვა.

**ბაჩა ლომჯიშვილი**

**ქალები**
აკაპულკო. მექსიკა. თიხნარი
საპრიზო 180 000 $

**ნახევარფინალი**

**ემილი ლუა** (საფრანგეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) 0:6 6:2 6:1; **ფლავია პენეტა** (5, იტალია) — სარა ერანი (იტალია) 6:4 6:2

**ფინალი**

ლუა — პენეტა 7:6 6:4



## ლადოს ლოგრენი: ბოლო და შვეიცარია

**საქართველოს** სადევისთასო ნაკრების მეორე ნომერმა ლადო ჩიხლაძემ შვეიცარიული ლოგრენის ჭერქვეშა ხალიჩაზე იარა, იარა და ფინალს უწია. სატიტულო მატჩი ლადოს კორტის მასპინძელთან, 25 წლისა და ATP-ის კლასიფიკაციაში 556-ე ადგილზე მყოფ სვენ სვინენთან ჰქონდა. მანამდე კი ჩვენებურმა ზედიზედ ოთხი მეტოქე ჩამოიცილა: ავსტრიელ არმინ სანდბიხლერს მძიმე სამსეტიან ბრძოლაში 6:7 6:3 7:6 მოუგო, შემდეგი მეტოქეები კი გაცილებით იოლად დაჯაბნა — შვეიცარიელი რობინ როშარდტი 6:1 6:2 დაამარცხა, კიდევ ერთ მასპინძელს ალექსანდერ სადეცკის 7:6 6:1 სძლია, ხოლო ნახევარფინალში 6:3 6:4 მოუგო მე-6 ნომრად განთესილ იტალიელ ალბერტო ჯირაუდოს.



## მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მექსიკა-ესპანეთი. 16 თებერვალი - 11 მარტი

**VIII ტური**

| | | |
|---|---|---|
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 0,5:0,5 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |

**IX ტური**

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |

# ბავშვს თამაშისას ჩაეძინა

**მცირე** შესვენების შემდეგ სუპერტურნირის მეორე წრე ლინარესში განახლდა.

როგორც ჩანს, ესპანური ჰაერი დიდად წაადგა ალექსანდრ მოროზევიჩს, მან პირველი პარტია მოიგო და ბოლოსწინა ადგილზე აცოცდა.

ლეკოსთან შეხვედრა რუსმა ლაზიერის გამბიტით დაიწყო, ცენტრში სამი პაიკი დასვა და შავებს შეუტია. მე-16 სვლაზე მოროზევიჩმა უნგრელს ხარისხი შესწირა, ეტლი მხედარში გაუცვალა და მანევრებს მიმართა. მან ხელმწიფის ფლანგიდან დაარტყა ლეკოს არმიას, დაწყობილი რაზმი მოუშალა და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. მოროზევიჩმა e ხაზზე მდგარი პაიკი წინ გაუშვა, ჩასათვლელ ხაზს ერთი ნაბიჯით მიაახლოვა და 46-ე სვლაზე გამარჯვებისა დააქუხა.


მაგნუს კარლსენი

16 წლის მაგნუს კარლსენმა თავისი ქცევით ყველა გააოცა. პატარა ვიკინგი მთელი თამაშისას უცნაურად მოძრაობდა და ხანდახან მაგიდაზე თავსაც დებდა, თითქოს ეძინებაო. ცხადია, მისი მანერები არავის არ მოეწონა. ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა კი განაცხადა, რომ დაფასთან ასეთი ქცევა კანონით უნდა აიკრძალოსო.

მიუხედავად ამისა, კარლსენს მაინც ბევრი გულშემატკივარი ჰყავს და დიდოსტატებიდანაც კარგ შეფასებებს იღებს. მისმა მეტოქემ ლევონ არონიანმა პატარა ვუნდერკინდს გარჯა მოუწონა და დასძინა, მოგებასაც იმსახურებდაო.

„გამიკვირდა, კარლსენმა ყაიმი რომ შემომთავაზა, მაგრამ რას ვიზამთ, ეს შედეგი მაკმაყოფილებს და ამიტომაც დავთანხმდი“ — განაცხადა სომეხმა მოჭადრაკემ.

მტრები გვყავს, მტრებიო, ჩივიან ტურნირის ორგანიზატორები. ეს დღეებია მათ საიტს უცნობი ჰაკერები ვირუსებით ბომბავენ და მუშაობაში ხელს უშლიან. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ყველაფერი მალე გამოსწორდება და გულშემატკივრებსაც განახლებული საიტის ნახვა ნებისმიერ დროს შეეძლებათ.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მაგნუს კარლსენი | 5,5 |
| 2. | ვიშვანათან ანანდი | 5,5 |
| 3. | ვასილ ივანჩუკი | 5,0 |
| 4. | ლევონ არონიანი | 4,5 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 4,5 |
| 6. | ვესელინ ტოპალოვი | 4,0 |
| 7. | ალექსანდრ მოროზევიჩი | 3,5 |
| 8. | პეტერ ლეკო | 3,5 |

# კენტი თუ ლუწი?

## ილუმჟინოვმა თასი და ჩემპიონატი აურია

**ფიდეს** პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფორმატი შეცვალა. ამიერიდან ტიტული ლუწ წლებში გაიმართება და მხოლოდ ორი მონაწილე ეყოლება.

კენტ რიცხვებში გათამაშდება მსოფლიოს თასი, რომლის გამარჯვებულიც ფინალში ჩემპიონს დაუპირისპირდება.

რეგლამენტი კი ასეთი იქნება — 126 დიდოსტატი 14 ქვეჯგუფში განაწილდება. მოგებულები და საუკეთესო ოთხი მეორეადგილოსანი ორ ჯგუფად დაიყოფიან. გამარჯვებულები კი ერთმანეთში ოთხი პარტიისგან შემდგარ მატჩს ჩაატარებენ გაითამაშებენ და საუკეთესოს მსოფლიოს თასს გადასცემენ.

პირველი ჩემპიონატი 2008 წელს ჩატარდება და ერთ-ერთი მონაწილე მსოფლიოს ამჟამინდელი ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი იქნება. თუ კრამნიკი სექტემბერში მექსიკაში მსოფლიოს ჩემპიონატზე იყოჩაღებს,



2008 წელს ტიტულს ვესელინ ტოპალოვთან დაიცავს, ხოლო თუ პირველ ადგილზე ვერ გავა, მაშინ, როგორც პრეტენდენტი, მექსიკური ტურნირის გამარჯვებულს შეხვდება.

სავარაუდოდ საპრიზო ფონდი ნახევარი მილიონი დოლარი იქნება.

**მსოფლიოს ჩემპიონატი** საპორო. იაპონია. 22 თებერვალი – 4 მარტი

# ნორვეგიულად დაწყებული ნორვეგიულად დასრულდა

## კუიტუნენმა თავისი სამი მიიღო



ვირპი კუიტუნენი

AFP

**ვეტერანი** ნორვეგიელების — 36 წლის ოდ-ბიორნ ჰელმესეტისა და 35 წლის ფროდე ესტილის დუბლით დასრულდა ბარის მოთხილამურეთა, ტრამპლინიდან მხტომელთა და ორჭიდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი იაპონიის ჩრდილოეთი კუნძულის, ჰოკაიდოს მთავარქალაქ საპოროში.

გუშინ ჰელმესეტი და ესტილი მთელი 50 კილომეტრის მანძილზე აკონტროლებდნენ მასობრივი სტარტით მარათონულ რბოლას და ბოლოს ვიკინგებმა ერთმანეთში გაარკვიეს გამარჯვებულის ვინაობა.

დაახლოებით ასე იყო ორი წლის წინათ, გერმანულ ობერსდორფშიც, სადაც 50-კილომეტრიანი სუპერპრესტიჟული რბოლა ესტილმა მოიგო, ხოლო ჰელმესეტს ბრინჯაო ერგო. ამჯერად როლები შეიცვალა და ჰელმესეტმა კლასიკური საფინიშო სპურტით აჯობა თანამემამულეს.

გერმანელები იენს ფილბრიხი, ტობიას ანგერერი და ჩეხი ლუკაშ ბაუერი თითქმის მთელი დისტანცია გვერდში ედგნენ ნორვეგიელებს და ეგ კი არა, სადღაც ფინიშამდე ხუთი კილომეტრით ადრე, თითქოს ესტილი ჩამორჩა მოწინავე ჯგუფს, მაგრამ მრავალნაცადმა ვიკინგმა მალევე დაიბრუნა პოზიცია და ბოლოსკენ ჰელმესეტთან ერთად კონკურენტებიც ჩამოიტოვა.

ეს გუშინ იყო. გუშინწინ კი ქალთა მარათონი იყო — 30 კილომეტრი ასევე მასსტარტით და ასევე კლასიკური სტილით, სადაც მოვლენები გაცილებით მარტივად განვითარდა. ორი ფინელი — ვირპი კუიტუნენი და აინო კაისა საარინენი და ორი ნორვეგიელი — კრისტინ სტორმერ სტეირა და ახალბედა ტერეზა იოჰაუგი ადრევე მოწყდნენ ძირითად ჯგუფს. მერე საარინენმა ველარ გაძლო და კვარტეტი ტრიოდ იქცა. ცოტა ხანში კი იოჰაუგიც ჩამორჩა და წინ ორნი წავიდნენ — კუიტუნენი და სტეირა.

საფინიშო გარჩევამდე საქმე არ მისულა — კუიტუნენმა ბოლო კილომეტრზე სტეირაც უკან მოიტოვა და თავისი პროგრამა მინიმუმი, ანუ სამი ოქროს მედალი, საპოროში მაინც შეასრულა — გუნდურ სპრინტსა და ესტაფეტაში მოპოვებულ ორ ოქროს ინდივიდუალური გამარჯვებაც დაამატა.

მოთხილამურეთა პარალელურად ბოლო მედლები გაინაწილეს ორჭიდელებმა და ტრამპლინიდან მხტომელებმაც.

ორჭიდის ბოლო სახეობა კლასიკური გამოდევნება იყო — საშუალო ტრამპლინიდან ორი ნახტომი და მერე 15 კილომეტრიანი რბოლა.

ტრამპლინზე ფრანგმა ლამი შაპუიმ იმარჯვა. მის მერე ახალგაზრდა ფინელი კოივურანსა, ავსტრიელი ბილერი, ნორვეგიელი რიანი და მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი აკერმანი განლაგდნენ. სხვა ფავორიტები ძალიან უკან აღმოჩნდნენ — ავსტრიელმა ფელიქს გოტვალდმა ტრამპლინზე 2 წუთი და 38 წამი წააგო, ნორვეგიელმა მაგნუს მოანმა — 2 წუთი და 42 წამი, ხოლო საპოროს ორგზის ჩემპიონმა, ფინელმა ჰანუ მანინენმა — სულაც სამი წუთი და 20 წამი.

მოანი ეგრეც ვეღარ გამოვიდა ამ შოკიდან, ხოლო გოტვალდმა და მანინენმა ბოლომდე იბრძოლეს და რბოლა მეხუთე და მეექვსე ადგილებზე დაასრულეს.

ჩემპიონი კი, უკვე მეოთხედ კარიერაში, დიდი გერმანელი რონი აკერმანი გახდა. ლამი შაპუი ადრევე ჩამორჩა, ბოლერმა და რიანმაც ვერ ივარგეს და კოივურანსა კი აკერმანმა ბოლო წრის დაწყებისას ჩაყლაპა. ახალბედა ფინელმა მაინც არ გაიტეხა იხტიბარი, ბოლომდე იომა და ბრინჯაო ირგუნა — სულ ბოლოსკენ მას თხილამურებით დიდებულად მოსრიალე ამერიკელმა ბილ დემონგმაც გაასწრო.

ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონია პოლონელი ტრამპლინიდან მხტომელი ადამ მალიშიც. 30 წლის სპორტსმენმა უდიდესი უპირატესობით მოიგო საშუალო ტრამპლინიდან ხტომა. მალიში ერთადერთი იყო, ვინც 100 მეტრზე შორს გადახტა და მას მეორე ცდაზეც მხოლოდ ნახევარი მეტრი დააკლდა ამ მიჯნამდე.

ჯამში პოლონელმა მთელი 22 ქულით აჯობა შვეიცარიელ სიმონ ამანს, რომელმაც, თავის მხრივ, დიდ ტრამპლინზე მოპოვებულ ოქროს ამ ჯერზე ვერცხლი დაამატა.

### თხილამურობა

**კაცები. 50 კმ კლასიკური. მასსტარტი**

| | |
|---|---|
| 1. ოდ-ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 2 სთ 20 წთ 2,6 წმ |
| 2. ფროდე ესტილი (ნორვეგია) | +0,4 წმ |
| 3. იენს ფილბრიხი (გერმანია) | +4,5 |
| 4. ტობიას ანგერერი (გერმანია) | +12,5 |
| 5. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | +13,1 |

**ქალები. 30 კმ კლასიკური. მასსტარტი**

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 1 სთ 29 წთ 47,1 წმ |
| 2. კრისტინ სტორმერ სტეირა (ნორვეგია) | +6,9 წმ |
| 3. ტერეზა იოჰაუგი (ნორვეგია) | +1.22,8 |
| 4. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | +1.43,0 |
| 5. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია) | +2.17,4 |

### ტრამპლინი

**HS 100**

| | |
|---|---|
| 1. ადამ მალიში (პოლონეთი) | 277,0 ქულა (102,0მ.+99,5 მ) |
| 2. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 255,5 (96,5+96,0) |
| 3. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 254,5 (95,0+95,0) |
| 4. როარ ლიოკელსოი (ნორვეგია) | 246,5 (94,5+52,5) |
| 5. ანდრეას კიოტელი (შვეიცარია) | 244,0 (95,5+92,0) |

### სათხილამურო ორჭიდი

**HS 100 (ორი ნახტომი)+15 კმ. გამოდევნებით**

| | |
|---|---|
| 1. რონი აკერმანი (გერმანია) | 38 წთ 35,6 წმ (მეხუთე ადგილი ტრამპლინზე, +24 წმ) |
| 2. ბილ დემონგი (აშშ) | +8,5 წმ (8, +1 წთ18 წმ) |
| 3. ანსი კოივურანტა (ფინეთი) | +8,7 (2, +12 წმ) |
| 4. კრისტოფ ბილერი (ავსტრია) | +59,7 (3, +22წმ) |
| 5. ფელიქს გოტვალდი (ავსტრია) | +1.07,2 (17, +2 წთ 38 წმ) |

### ქვეყნები და მედლები

**თხილამურობა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 2 | 5 | 12 |
| ფინეთი | 3 | — | 1 | 4 |
| გერმანია | 1 | 3 | 2 | 6 |
| რუსეთი | 1 | 3 | - | 4 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| იტალია | 1 | — | 2 | 3 |
| შვედეთი | — | 1 | 1 | 2 |
| სლოვენია | — | 1 | — | 1 |
| ბელორუსია | — | 1 | — | 1 |

**ტრამპლინი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 1 | 1 | — | 2 |
| ავსტრია | 1 | — | 1 | 2 |
| პოლონეთი | 1 | — | — | 1 |
| ნორვეგია | — | 1 | 1 | 2 |
| ფინეთი | — | 1 | — | 1 |
| იაპონია | — | — | 1 | 1 |

**ორჭიდი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფინეთი | 2 | — | 1 | 3 |
| გერმანია | 1 | 1 | 1 | 3 |
| ნორვეგია | — | 1 | 1 | 2 |
| აშშ | — | 1 | — | 1 |

**ჯამი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 4 | 7 | 16 |
| ფინეთი | 5 | 1 | 2 | 8 |
| გერმანია | 2 | 4 | 3 | 9 |
| რუსეთი | 1 | 3 | — | 4 |
| ჩეხეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| შვეიცარია | 1 | 1 | — | 2 |
| იტალია | 1 | — | 2 | 3 |
| ავსტრია | 1 | — | 1 | 2 |
| პოლონეთი | 1 | — | — | 1 |
| შვედეთი | — | 1 | 1 | 2 |
| აშშ | — | 1 | — | 1 |
| სლოვენია | — | 1 | — | 1 |
| ბულორუსია | — | 1 | — | 1 |
| იაპონია | — | — | 1 | 1 |



# რეგულარული ჩემპიონატი

**2 მარტი**

**დალასი 2:3 კოლუმბუსი**
*0:1 2:1 0:0 0:0 (0:1 ბულიტები)*
0:1 მალოტრა (12), 0:2 ფიოდოროვი (26), 1:2 სიდორი (29), 2:2 მოდანო (30)

**ანაჰაიმი 3:1 სან ხოსე**
*2:0 0:0 1:1*
1:0 პენერი (5), 2:0 კუნიცი (19), 3:0 რივე (44), 3:1 პრონგერი (54)

**დეტროიტი 6:2 ჩიკაგო**
*2:0 2:1 2:1*
1:0 ლანგი (7), 2:0 შნაიდერი (20), 2:0 ფინიპულა (28), 4:0 გუდლერი (30), 4:1 უილიამსი (32), 5:1 ლიდსტრომი (41), 5:2 უილიამსი (43), 6:2 ფრანზენი (51)

**ატლანტა 4:2 ოტავა**
*1:1 0:1 3:0*
1:0 ბელანჟე (10), 1:1 ჰითლი (16), 1:2 ჰითლი (25), 2:2 ბელანჟე (44), 3:2 კოზლოვი (50), 4:2 დიუპუი (56)

**ნიუ ჯერსი 3:4 ტორონტო**
*0:0 2:0 1:2 0:0 (0:1 ბულიტები)*
1:0 ლანგენბრუნერი (21), 2:0 პანდოლფო (38), 2:1 კოლაიაოკოვო (49), 2:2 ანტროპოვი (51), 2:3 სტეიჯანი (52), 3:3 ბრინინი (59), 3:4 ონილი (65)

**ბუფალო 8:5 მონრეალი**
*2:0 3:4 3:1*
1:0 კალინინი (2), 2:0 რაიანი (2), 3:0 ნუმინენი (23), 3:1 რაიდერი (28), 4:1 რაიანი (28), 4:2 ბონკი (30), 4:3 შტრაიტი (30), 5:3 როი (38), 5:4 პლეკანეცი (38), 6:4 ვანეკი (47), 6:5 პლეკანეცი (49), 7:5 სტეფორდი (50), 8:5 ვანეკი (60)

**კაროლინა 3:2 პიტსბურგი**
*0:1 2:1 1:0*
0:1 კროსბი (15), 1:1 უოქერი (28), 2:1 კაბერლე (29), 2:2 მელოუნი (31), 3:2 უოქერი (52)

**3 მარტი**

**რეინჯერსი 3:2 სენტ ლუისი**
*0:2 0:0 2:0 0:0 (1:0 ბულიტები)*
0:1 ბოისი (2), 0:2 დვორჟაკი (18), 1:2 რახუნეკი (52), 2:2 ევერი (58)

**ტორონტო 1:3 ბუფალო**
*0:0 0:2 1:1*
0:1 ლიუდმანი (25), 0:2 სტეფორდი (38), 0:3 პეტში (57), 1:3 ანტროპოვი (57)

**ფინიქსი 3:4 კოლუმბუსი**
*1:1 1:1 1:2*
0:1 ნეში (3), 1:1 დოუნი (17), 2:1 ბალარდი (22), 2:2 ჩიმერა (29), 2:3 მოდინი (41), 2:4 ნეში (46), 3:4 ტაფე (48)

**ედმონტონი 2:4 კალგარი**
*1:2 1:0 0:2*
0:1 მოსი (8), 1:1 პიზანი (10), 1:2 იგლი (13), 2:2 პიზანი (30), 2:3 ლენგკოუ (42), 2:4 იგინლა (45)

**ბოსტონი 3:1 მონრეალი**
*0:0 2:0 1:1*
1:0 ტენკრატი (24), 2:0 ბოჩენსკი (39), 2:1 სურეი (44), 3:1 მიურეი (56)

**ლოს ანჯელესი 3:6 ნეშვილი**
*0:1 2:1 1:4*
0:1 ვებერი (19), 1:1 ლუნდმარკი (24), 1:2 ვებერი (27), 2:2 კამალერი (35), 3:2 კამალერი (46), 3:3 კარია (46), 3:4 ჟიდლიცკი (50), 3:5 დიუმონი (53), 3:6 კარია (54)

**ფლორიდა 6:2 ტამპა**
*2:0 2:1 2:1*
1:0 ჰორტონი (6), 2:0 იოკინენი (6), 2:1 პრატი (29), 3:1 ვაისი (32), 4:1 ვაისი (36), 5:1 პელტონენი (48), 6:1 ჰორტონი (49), 6:2 პროსპალი (58)

**ვაშინგტონი 2:6 აილენდერსი**
*0:2 0:2 2:2*
0:1 სილინჯერი (11), 0:2 შატანი (19), 0:3 ბერჟერონი (28), 0:4 საიმონი (37), 0:5 შატანი (45), 1:5 პოტიე (48), 2:5 სატერბი (49), 2:6 სმიტი (58)



19 წლის სიდნი კროსბი ნჰლ-ს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშეა, რომელმაც 200 ქულა დააგროვა

## მსოფლიოს თასი

# დიდი ბრძოლა დიდი ბროლისთვის

## ავსტრიელებმა მცირე გლობუსები დაინაწილეს



ბენჯამინ რაიხი

მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის 2006-07 წლების გათამაშება ფინიშის სწორზე გავიდა და ბრძოლა გენერალურ კლასიფიკაციაში გამარჯვებულის სარგო დიდი ბროლის გლობუსებისთვის არნახულად დაიძაბა.

ქალებში პირველსა და მეოთხე ადგილს შორის მხოლოდ 49 ქულაა და ეს მაშინ, როდესაც ეტაპის მოგება 100 ქულა ღირს. ამ ოთხეულში სამი ავსტრიელი და ერთი ამერიკელია და, მართალია, ეს ამერიკელი, ანუ ჯულია მანკუზო ჯერჯერობით მეორეა და 9 ქულას აგებს მარლიზ შილდთან, მაგრამ ბოლო ხანებში მეტოქეებზე უკეთ გამოიყურება და ამ წუთისთვის მთავარ ფავორიტად, სწორედ ის მოჩანს.

იტალიურ ტარვიზოში, სადაც ქალები გასულ უქმეებზე თხილამურობდნენ, მანკუზომ ჯერ სუპერკომბინაციაში დაიკავა შილდის მერე მეორე ადგილი, შემდეგ კი სწრაფდაშვებაში იმარჯვა.

შილდმა სუპერკომბინაცია რომ მოიგო, ამით ამ სახეობაში მცირე ბროლის გლობუსი დაიბევა, რადგანაც მეტი სუპერკომბინაცია წელს აღარ იქნება და ავსტრიელმა ამ სახეობის ჩათვლაში იმავ მანკუზოს 25 ქულით აჯობა.

შილდისთვის ეს წელს უკვე მეორე მცირე გლობუსია. მანამდე მან თავის საფირმო სახეობაში, სლალომშიც გაინაღდა პირველობა.

გაირკვა გამარჯვებულის ვინაობა სწრაფდაშვებაშიც. ვეტერანი ავსტრიელი რენატე გიოტჩლი ტარვიზოში მხოლოდ მანკუზოს ჩამორჩა, მაგრამ სხვაობა ამ ორს შორის საერთო ჩათვლაში 106 ქულა მაინც დარჩა და წინ, ოდენ ერთი, ფინალური დაშვებაღაა დარჩენილი.

ფინალურ ეტაპზე კიდევ უფრო დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი კაცთა შორის, სადაც სხვაობა გენერალური კლასიფიკაციის მოწინავეებს — შვედურ არეში ამას წინათ გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის ორი ოქროს მომგებ ნორვეგიელ აქსელ ლუნდ სვინდალსა და თასის შარშანდელ მფლობელს, ავსტრიელ ბენჯამინ რაიხს შორის სამი ქულაღაა.

შაბათს რაიხმა სლოვენიურ კრანსკა გორაში დიდი უპირატესობით მოიგო გიგანტური სლალომი. სვინდალი მეოთხე იყო და ნორვეგიელის უპირატესობა მინიმუმამდე შემცირდა. მოწინავე დუეტისგან შორს, არც შვეიცარიელი უნივერსალი დიდიე კუშეა და ფინალურ ეტაპებზე, მართლაც დიდი ომი გაჩაღდება.



რენატე გიოტჩლი

### ქალები

**ტარვიზო (იტალია)**

| სუპერკომბინაცია (სწრაფდაშვება+სლალომის ერთი ცდა) | |
|---|---|
| 1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 2წთ.10,15წმ. (1.26,86+43,29) |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 2.10,47 (1.25,68+44,85) |
| 3. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 2.10,48 (1.25,69+44,80) |
| 4. ანია პერსონი (შვედეთი) | 2.10,55 (1.25,59+44,97) |
| 5. რესი შტიგლერი (აშშ) | 2.10,65 (1.27,16+43,59) |
| **სუპერკომბინაციის ჩათვლა** | |
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 220 ქულა |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 195 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 190 |
| **სწრაფდაშვება** | |
| 1. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1წთ.52,67წმ. |
| 2. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1.52,84 |
| 3. ემილი ბრაიდონი (კანადა) | 1.52,88 |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1.52,99 |
| 5. კელი ვანდერბეკი (კანადა) | 1.53,00 |
| **სწრაფდაშვების ჩათვლა** | |
| 1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 605 ქულა |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 491 |
| 3. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 390 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1148 ქულა |
| 2. ჯულია მანკუზო (აშშ) | 1139 |
| 3. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1103 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 1099 |
| 5. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 808 |

### კაცები

**კრანსკა გორა (სლოვენია)**

| გიგანტური სლალომი | |
|---|---|
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2წთ.19,03წმ. (1.09,83+1.09,20) |
| 2. ფრანსუა ბურკე (კანადა) | 2.19,58 (1.10,20+1.09,38) |
| 3. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) | 2.19,60 (1.10,47+1.09,13) |
| 4-5. ტედ ლიგეტი (აშშ) | 2.19,65 (1.10,39+1.09,26) |
| 4-5. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 2.19,65 (1.10,26+1.09,39) |
| **გიგანტური სლალომის ჩათვლა** | |
| 1. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 319 ქულა |
| 2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 316 |
| 3. მასიმილიანო ბლარდონე (იტალია) | 300 |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) | 868 |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 865 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 788 |
| 4. ბოდე მილერი (აშშ) | 663 |
| 5. პეტერ ფილი (იტალია) | 601 |



## მსოფლიოს თასი. VII ეტაპი
## ლაჰტი. ფინეთი. 28 თებერვალი – 4 მარტი

# ღვინოსავით რაფაელო



რაფაელ პუარე წასვლამდე ყველაფრის მოგებას ცდილობს

გასული საუკუნის სამოციანი წლების ბოლოს მიხეილ მესხზე რომ თქვეს, ეს რომ მიდის, ვინლა რჩებაო, აი, დაახლოებით ასეა ბიატლონის ფრანგი სუპერვარსკვლავის რაფაელ პუარეს საქმე.

თურმე ადრევე ჰქონდა ჩაფიქრებული და ნათქვამი — იტალიურ ანტერსელვაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებას თუ მივაღწევ, მორჩა, ეს სეზონი ჩემთვის ბოლო იქნებაო.

ანტერსელვაში 32 წლის ფრანგმა 20 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო და ზედ ვერცხლი და ბრინჯაოც დააყოლა. მოიგო და შინაურ წრეში ნათქვამი სახალხოდ განაცხადა — მეყოფა, სეზონს ჩავამთავრებ და წავალო.

ჩამთავრება მარტივი საქმეა. იმას, რასაც პუარე აკეთებს, ჩამთავრება არ ჰქვია. რაფაელი კარგი ფრანგული ღვინოსავითაა — ძველდება და უკეთესი ხდება. აბა, სხვა რა ვქთვათ, როდესაც წასასვლელად გამზადებულმა კაცმა ფინურ ლაჰტიში მიმდინარე მსოფლიოს თასის ეტაპზე ჯერ თავისი საფირმო 20-კილომეტრიანი რბოლა მოიგო და შემდეგ 10 კილომეტრზე სპრინტშიც ყველას აჯობა და პუარეს წარმატებებს სულაც არ აკნინებს ის ფაქტი, რომ ლაჰტიში არ იყო ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი.

ბოლო ხანებში პუარე უმეტესწილად იდეალური სროლის ხარჯზე გადიოდა ფონს და ამჯერად კი, სპრინტერულ დისტანციაზე, მან თვით გერმანელ მიხაელ გრაისს აჯობა სისწრაფით — ორივემ თითო სამიზნე ააცილა და ფრანგმა თხილამურებით 17 წამი მოუგო გერმანელს. ამ ჩვიდმეტ წამში სამი კაცი ჩაეტია, ანუ საბოლოო ჯამში პუარე პირველი იყო, ხოლო გრაისი მეხუთე. ამათ შორის სამი ნორვეგიელი ჩაჯდა: ახალი თაობის ხალხი — ალექსანდერ ვოსი და ჰანს მარტინ გიედრომი და ვეტერანი ჰალვარდ ჰანავალდი. ამათ, სამივემ იდეალურად ისროლეს, მაგრამ პუარეს მაინც ვერაფრით მოუხერხეს.

შედეგად, რაფაელი საერთო ჩათვალში მესამე ადგილზე აღზევდა და ასე თუ გააგრძელებს (სეზონის ბოლომდე ორი ეტაპი, ანუ ექვსი რბოლაა დარჩენილი), იქნებ მორიგი ბროლის გლობუსით შეავსოს თავისი უმდიდრესი კოლექცია.

ქალებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა და ლაჰტიში გერმანელი დიაცები მძლავრობენ. ინდივიდუალური რბოლა ანდრეა ჰენკელმა მოიგო, ხოლო სპრინტში მარტინა გლაგოვი იყო საუკეთესო და საერთოდაც, პირველ ხუთეულში ერთბაშად ოთხი გერმანელი მოხვდა.

### კაცები

| 10 კმ სპრინტი (ორი სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 24წთ.39,0წმ. (1 აცდენა) |
| 2. ალექსანდერ ოსი (ნორვეგია) | +5,3წმ. (0) |
| 3. ჰანს მარტინ გიედრომი (ნორვეგია) | +10,2 (0) |
| 4. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | +11,1 (0) |
| 5. მიხაელ გრაისი (გერმანია) | +16,9 (1) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 595 ქულა |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 528 |
| 3. რაფაელ პუარე (საფრანგეთი) | 517 |
| 4. ნიკოლაი კრუგლოვი (რუსეთი) | 505 |
| 5. ივან ჩერეზოვი (რუსეთი) | 469 |

### ქალები

| 7,5 კმ სპრინტი (ორი სასროლეთი) | |
|---|---|
| 1. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 21წთ.18,3წმ. (0) |
| 2. კატი ვილჰელმი (გერმანია) | +4,0 (0) |
| 3. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | +5,9 (0) |
| 4. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | +7,3 (0) |
| 5. კატრინ ჰიტცერი (გერმანია) | +13,5 (1) |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. კატი ვილჰელმი (გერმანია) | 698 ქულა |
| 2. ანა კარინ ოლოფსონი (შვედეთი) | 687 |
| 3. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) | 603 |
| 4. ლინდა გრუბენი (ნორვეგია) | 562 |
| 5. ფლორენს ბევერელ-რობერი (საფრანგეთი) | 454 |

სარბიელი და კროსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 1 | პრესტონი-საუთჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 6 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 19 | პორტ ვეილი-ჩელტენემი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 68 | მოზერუელი-ჰართსი | 3.20 | 3.20 | 2.10 | 1.60 | 1.26 | 1.26 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:15 | 101 | კარლსრუე-კიოლნი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 567 | მანტოვა-ტრიესტინა | 1.55 | 3.20 | 7.00 | 1.04 | 1.26 | 2.19 |
| | | იტალია. სერია C1/B | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 566 | ანკონა-ლანჩანო | 2.25 | 2.60 | 3.50 | 1.20 | 1.36 | 1.49 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | საფრანგეთი | | | | | | |
| | | II დივიზიონი | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 225 | ტუარი-კაენი | 3.40 | 2.90 | 2.10 | 1.56 | 1.29 | 1.21 |
| | | პორტუგალია | | | | | | |
| | | სუპერლიგა | | | | | | |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 274 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 6 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 390 | ლიონი-რომა | 1.80 | 3.20 | 4.80 | 1.15 | 1.30 | 1.91 |
| 23:45 | 391 | ლივერპული-ბარსელონა | 2.80 | 3.30 | 2.35 | 1.51 | 1.27 | 1.37 |
| 23:45 | 392 | ვალენსია-ინტერი | 2.40 | 3.10 | 2.90 | 1.35 | 1.31 | 1.49 |
| 23:45 | 393 | ჩელსი-პორტუ | 1.35 | 4.00 | 10.00 | 1.00 | 1.18 | 2.85 |
| 7 მარტი | | | | | | | | |
| 23:45 | 394 | მილანი-სელტიკი | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 23:45 | 395 | ბაიერნი-რეალი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 23:45 | 396 | მანჩესტერი-ლილი | 1.35 | 4.20 | 9.00 | 1.02 | 1.17 | 2.86 |
| 23:45 | 397 | არსენალი-პსჟ | 1.45 | 3.70 | 7.50 | 1.04 | 1.21 | 2.47 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10390 | ლიონი-რომა | 2.30 | 2.10 | 4.50 | 1.09 | 1.52 | 1.43 |
| 10391 | ლივერპული-ბარსელონა | 3.20 | 2.00 | 2.80 | 1.23 | 1.49 | 1.16 |
| 10392 | ვალენსია-ინტერი | 2.90 | 2.00 | 3.25 | 1.18 | 1.53 | 1.23 |
| 10393 | ჩელსი-პორტუ | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |
| 10394 | მილანი-სელტიკი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10395 | ბაიერნი-რეალი | 2.55 | 2.00 | 4.05 | 1.12 | 1.56 | 1.33 |
| 10396 | მანჩესტერი-ლილი | 1.65 | 2.50 | 8.00 | 1.00 | 1.36 | 1.90 |
| 10397 | არსენალი-პსჟ | 1.80 | 2.40 | 7.00 | 1.02 | 1.43 | 1.78 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11390 | ლიონი-რომა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11391 | ლივერპული-ბარსელონა | 4.20 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11392 | ვალენსია-ინტერი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11393 | ჩელსი-პორტუ | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11394 | მილანი-სელტიკი | 1.80 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11395 | ბაიერნი-რეალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11396 | მანჩესტერი-ლილი | 1.80 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 210.00 | 10.00 | 6.00 |
| 11397 | არსენალი-პსჟ | 1.90 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12390 | ლიონი-რომა | 1.60 | 2.00 |
| 12391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12392 | ვალენსია-ინტერი | 1.60 | 2.00 |
| 12393 | ჩელსი-პორტუ | 1.60 | 2.00 |
| 12394 | მილანი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 12395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12396 | მანჩესტერი-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 12397 | არსენალი-პსჟ | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13390 | ლიონი-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13392 | ვალენსია-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 13393 | ჩელსი-პორტუ | 1.90 | 1.70 |
| 13394 | მილანი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 13396 | მანჩესტერი-ლილი | 1.90 | 1.70 |
| 13397 | არსენალი-პსჟ | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14390 | ლიონი-რომა | 1.60 | 2.30 |
| 14391 | ლივერპული-ბარსელონა | 2.00 | 1.80 |
| 14392 | ვალენსია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 14393 | ჩელსი-პორტუ | 1.08 | 2.90 |
| 14394 | მილანი-სელტიკი | 1.08 | 2.90 |
| 14395 | ბაიერნი-რეალი | 1.70 | 2.20 |
| 14396 | მანჩესტერი-ლილი | 1.08 | 2.90 |
| 14397 | არსენალი-პსჟ | 1.20 | 2.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15390 | ლიონი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | ლივერპული-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15392 | ვალენსია-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15393 | ჩელსი-პორტუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15394 | მილანი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15395 | ბაიერნი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15396 | მანჩესტერი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15397 | არსენალი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16390 | ლიონი-რომა | 1.35 | 2.90 |
| 16391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.95 | 1.65 |
| 16392 | ვალენსია-ინტერი | 1.95 | 1.95 |
| 16393 | ჩელსი-პორტუ | 1.05 | 5.00 |
| 16394 | მილანი-სელტიკი | 1.05 | 5.00 |
| 16395 | ბაიერნი-რეალი | 1.45 | 2.30 |
| 16396 | მანჩესტერი-ლილი | 1.05 | 5.00 |
| 16397 | არსენალი-პსჟ | 1.12 | 4.50 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17390 | ლიონი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17391 | ლივერპული-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17392 | ვალენსია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17393 | ჩელსი-პორტუ | 1.85 | 1.95 |
| 17394 | მილანი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17395 | ბაიერნი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17396 | მანჩესტერი-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17397 | არსენალი-პსჟ | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ




# უცხო ტევესი და მასკერანო

## ვესტ ჰემს დასჯით ემუქრებიან

**საქმე** ის გახლავთ, რომ არგენტინელი ფეხბურთელები კარლოს ტევესი და ხავიერ მასკერანო აგვისტოში ინგლისში რომ ჩავიდნენ, მათი მესაკუთრე უცხოური საინვესტიციო კომპანია „მედია სპორტს ინვესტმენტი“ იყო. შემდეგ? შემდეგ წყვილმა „ვესტ ჰემში“ დაიწყო თამაში, მაგრამ, როგორც პრემიერლიგის იურისტებმა ამოჩხრიკეს, ლონდონურ კლუბს ქაღალდები ხეირიანად არ ჰქონდა მომზადებული და, შესაბამისად, არგენტინელთა ნებისმიერი შემდგომი ტრანსფერიდან ფული ზემოხსენებულ ორგანიზაციას ეკუთვნის. მაგრამ, ფული იქით იყოს, დაირღვა კანონი U-18, ანუ „ვესტ ჰემი“, ჩვენებურად რომ ვთქვათ, „ვიღაც ხალხს“ ათამაშებდა. მოკლედ, არეულობაა და ეს რომ ასეა, იანვარში გაირკვა, როდესაც მასკერანომ „ლივერპულთან“ მოაწერა კონტრაქტს ხელი.

ცნობისთვის: საინვესტიციო კომპანია, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, ცნობილ ბიზნესმენ კია ჯურაბჩიანს ეკუთვნის. მოგეხსენებათ, სეზონის დასაწყისში ჯურაბჩიანი „ვესტ ჰემის“ ყიდვას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გარიგება აღარ შედგა და დეკემბრიდან ლონდონური კლუბის მეპატრონე ეგერტ მაგნუსონია, რომელმაც ამ საქმეში 108 მილიონი გირვანქა გაიღო.

მაგრამ მაგნუსონი რთული პრობლემის წინაშე დგას. პრემიერლიგის შეფები ტევესისა და მასკერანოს დაყინებული თამაშისთვის ისედაც გაჭირვებული და გავარდნის პირას მყოფი „ვესტ ჰემის“ დასჯას და ქულების ჩამოკლებას აპირებენ. არადა, როგორია, ამ სეზონში გავარდნა, როდესაც პრემიერლიგის კლუბები არნახულ სატელევიზიო ხელშეკრულებებს სდებენ? აქ, სულ მცირე, 30 მილიონი გირვანქის ქარისთვის გატანებაზეა ლაპარაკი.

როგორც ცნობილია, ასეთი სცენარისთვის ეგერტ მაგნუსონს სხვა სვლა აქვს მომზადებული. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, იგი „ვესტ ჰემს“ დეკემბერში ჩაუდგა სათავეში, მანამდე კი კლუბის შეფი ტერი ბრაუნი გახლდათ და მაგნუსონიც მთელი ზარალის ანაზღაურებით სწორედ მისტერ ბრაუნს ემუქრება.

**პაპუნა ძიძია**

# უბურთო ზიდანი ფულს ეთამაშება

**ზინედინ ზიდანი** საფრანგეთის უმდიდრესი სპორტსმენია. 2006 წელს მისი შემოსავალი 13 მილიონი ევრო იყო — მილიონ 600 ათასით ნაკლები, ვიდრე შარშანწინ, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლის შემდეგაც კი „ჩემპიონია“. შემოსავლები ფრანგულმა „ეკიპმა“ დაითვალა.

ზიდანის ჯიბეს უმეტესად რეკლამიდან მიღებული თანხები ავსებენ. „ადიდასი“, „დენონი“, „აუდი“ — აი, ფირმები, რომელთა პროდუქციასაც ზიზუ არეკლამებს. მათგან ფრანგმა შარშან 9 მილიონ 100 ათასი ევრო მიითვალა. მიუხედავად იმისა, რომ აღარ თამაშობს, მისი სახე კვლავაც ძვირადღირებულია სარეკლამო ბაზარზე.




ზიდანს კუდზე აზის ტიერი ანრი. „არსენალის“ მეგოლეს შემოსავლები 2 მილიონ 400 ათასით გაიზარდა და 12 მილიონ 400 ათასს უწია. იმის სანაცვლოდ, რომ ანრი „ბარსელონაში“ არ გადასულიყო, კლუბმა ყოველთვიური ჯამაგირი 436-დან 672 ათას ევრომდე გაუზარდა.

მესამეზეა ფრანგი კალათბურთელი ტონი პარკერი (9 მილიონ 800 ათასი), ხოლო მეოთხეზე ანრის თანაგუნდელი კლოდ მაკელელე (7 მილიონ 200 ათასი), ვისაც მოჰყვება პატრიკ ვიეირა და შემდეგ მოდის ჩოგბურთელი ამელი მორესმო.

ათეულს ლილიან ტურამი ამთავრებს 6 მილიონ 100 ათასი ევროთი.

**გაგა ხუციშვილი**

# ფიგუს თეთრი რჩევა: რონალდუმ ბარსელონა რეალში გაცვალა




**მადრიდის** „რეალი“ 29 წლის მალელი ფორვარდის და ესპანეთის ჩემპიონატის ამჟამინდელი მთავარმეგოლის ფრედი კანუტით დაინტერესდა. „სევილიას“ მოიერიშე წლეულს შესანიშნავად ბურთაობს და სამეფო თეთრებს მისი გადაბირება ამიტომაც უნდათ.

აფრიკელს „სევილიასთან“ კონტრაქტი 2009 წლის ივნისამდე აქვს, ხოლო მასთან ხელშეკრულების გაწყვეტის ფასი 25 მილიონი ევროა.

„რა თქმა უნდა, სასიხარულოა, როცა „რეალის“ ინტერესების შესახებ იგებ. თუმცა მე „სევილიასთან“ კონტრაქტი მაქვს და მხოლოდ ამ გუნდის წარმატებაზე ვფიქრობ“ — განუცხადა კანუტმა „მარკას“.

კიდევ ერთი სავარაუდო მადრიდელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუა. პორტუგალიელს „ბარსელონაში“ უნდოდა გადასვლა, მაგრამ ძველი მადრიდელი და უფროსი მეგობარი ლუიშ ფიგუ გადაეკიდა და „კამპ ნოუზე“ გადაბარგება გადააფიქრებინა. ახლა რონალდუ „ბერნაბეუს“ მომხრე უფროა, მით უმეტეს, ფიგუ თითქმის ყოველდღე ურეკავს და უჩიჩინებს — „რეალზე“ უკეთესი გუნდი არ არსებობს და აუცილებლად იქ უნდა ითამაშოო.

**ლადო ხომერიკი**

# დიდა დიდი მადით მიდის

**ბრაზილიურმა** რადიომ „ჟუვემ პანმა“ გამოაცხადა, რომ „მილანის“ გოლკიპერი დიდა მომავალ სამ სეზონს კატალონიის „ბარსელონაში“ გაატარებს. როგორც „ჟუვემ პანი“ იუწყება, მეკარეს „როსონერის“ თავკაცობასთან კონფლიქტი მოსვლია, ამიტომაც „სან სიროს“ დატოვებას და ესპანურ გრანდში გადასვლას აპირებს.

რადიომ ისიც თქვა, რომ „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი კლუბიდან დიდას დაუყოვნებლივ წასვლის მომხრეა. საქმე ისაა, რომ ვეტერან მეკარე „მილანის“ ვარსკვლავებზე დაბალ ხელფასს აღარ კადრულობს.

ესპანური მედიაც დაფაცურდა და „მარკა“ დიდას აგენტ ოსკარ დამინის ეწვია...

„ჯერ არავინ იცის, სად გადავა დიდა. შეიძლება, ეს კლუბი იყოს „ბარსელონა“, „ჩელსი“ ან კიდევ სულ სხვა“ — განაცხადა ოსკარ დამინიმ.

დიდამ კარიერა 1992 წელს მშობლიური ბაიას შტატის კლუბ „ვიტორიაში“ დაიწყო. შემდეგ „კრუზეიროში“, შვეიცარიულ „ლუგანოში“ „კორინთიანსში“ და „სან პაულუში“ ბურთაობდა. 2003 წლიდან კი „მილანის“ მეკარეა...

**ლადო ხომერიკი**

# იტალიას შხამი მოუკვდა

**ხანგრძლივი** ავადმყოფობის შემდეგ, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა მილანის „ინტერის“ ლეგენდა ბენიტო ლორენცი. იტალიელი თავდამსხმელი, რომელსაც „შხამს“ ეძახდნენ, მეტოქეებთან თუ თანაგუნდელებთან გაუთავებელი კინკლაობით იყო გამორჩეული. საინტერესოა, რომ ეს მეტსახელი მას დედამ შეარქვა.

პისტოიასთან ახლოს, ბორგო ბუჯანოში 1925 წლის 20 დეკემბერს დაბადებული „შხამი“ განსაკუთრებით ერთი რამით არის ცნობილი — ერთ-ერთ მილანურ დერბიში მან მოახერხა და ისე, რომ არავის დაუნახავს, ტიტო კუკიარონის, სანამ იგი „ინტერის“ კარში პენალტს დაარტყამდა, ბურთის ქვეშ ლიმნის ნაჭერი დაუდო. შედეგად, „მილანის“ ფეხბურთელმა თერთმეტმეტრიანი გააცუდა.

ლორენცი „ინტერში“ 1947-58 წლებში თამაშობდა და ორჯერ მოიგო სკუდეტო. მან 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. „შხამმა“ „სკუადრა აძურას“ ღირსება 14-ჯერ დაიცვა და 4 გოლი გაიტანა.

კარიერა 1959 წელს „ალესანდრიაში“ დაასრულა...

**გიორგი ძაძამიძე**

## ავსტრალიური ტერფის ბოლო

**„ევერტონის“** ავსტრალიელი ნახევარმცველი ტიმ ჩეჰილი მარცხენა ფეხის ტრავმის გამო დარჩენილ ტურებს გამოტოვებს. ამის შესახებ კლუბმა გუშინ ოფიციალურად განაცხადა. ეს დიდი დანაკლისი იქნება უეფას თასის საგზურისთვის მებრძოლი „ევერტონისთვის“.

## ტერის მაკლარენობა უნდა

**„ჩელსის“** კაპიტანმა ჯონ ტერიმ გაამხილა, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელობა სურს. ტერი ლიდერია „ჩელსიში“ და ეროვნულ გუნდშიც და ძალიან უნდა, ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი მწვრთნელობაში გამოიყენოს: „დარწმუნებული ვარ, ინგლისში არ არსებობს ფეხბურთელი, ნაკრების თავკაცობა რომ არ სურდეს. დიდებული იქნება — ეს საქმე და მსოფლიოს ჩემპიონობა ხომ საოცნებოა.“

## ემანუელის მსუყე მოთხოვნა

**ემანუელ ადებაიორი** „არსენალთან“ ახალ კონტრაქტზე ალაპარაკდა, რადგან, მისი თქმით, „მანჩესტერი“ და „ვალენსია“ ეპატიჟებიან. ტოგოელი ფორვარდი ერთი წლის წინ „მონაკოდან“ შეიძინეს, კარგადაც ათამაშდა და ამიტომაც ითხოვს გაუმჯობესებულ კონტრაქტს.

„აგენტმა მითხრა, რომ „მანჩესტერი“ და „ვალენსია“ დაინტერესებულნი არიან, თუმც მე აქ დარჩენა მირჩევნია. ვფიქრობ, კარგად ვთამაშობ და უკეთეს ჯამაგირს ვიმსახურებ. ამას ალბათ დამიფასებენ. მით უმეტეს, „არსენალის“ ფანებს ძალიან ვუყვარვარ“.

**გაგა ხუციშვილი**

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXIX ტური

**ლივერპული 0:1 მანჩესტერი**

0:1 ოში (90)

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, ჯერარდი, ხაბი ალონსო, სისოკო (კრაუჩი 79), გონსალესი (აურელიო 60), კუიტი, ბელამი (პენანტი 69)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (სილვესტრი 63), კ. რონალდუ, კარიკი, სქოულზი, გიგზი, რუნი (ოში 73), ლარსონი (საა 67)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ალონსო, კარაგერი, კარიკი, ნევილი

გაძევება: სქოულზი (86)

მსაჯი: ატკინსონი

44 403 მაყურებელი

**პორტსმუთი 0:2 ჩელსი**

0:1 დროგბა (33), 0:2 კალუ (82)

პორტსმუთი: ჯეიმსი, პამარო, პრიმუსი, კემპბელი, ტრაორე (კრანჩარი 68), ონილი, დევისი, ჰიუზი, ტეილორი, კანუ, ლუა ლუა (ენდი კოული 73)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

ჩელსი: ჩეხი, დიარა, რ. კარვალიუ, ესიენი, ეშლი კოული, მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი, რობენი (რაიტ-ფილიპსი 76), შევჩენკო (ს. კალუ 76), დროგბა (ბრიჯი 84)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ბალაკი, მაკელელ

მსაჯი: ჰეილსი

20 219 მაყურებელი

**არსენალი 2:1 რედინგი**

1:0 ჟილბერტო სილვა (51პ), 2:0 ბაპტისტა (62), 2:1 ფაბრეგასი (87ს.კ.)

არსენალი: ლემანი, ჯორუ, გალასი, ჟილბერტო სილვა, კლიში, ლიუნგბერგი (დიაბი 70), ფაბრეგასი, დენილსონი, გლები (სენდეროსი 86), უოლკოტი (ალიადირი 71), ბაპტისტა

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

რედინგი: ჰანემანი, მარტი, ინგიმარსონი, ბიკეი, შორი, ლიტლი (დოილი 80), სიდველი, ჰარპერი (გუნარსონი 71), ჰანტი (ოსტერი 65), კიტსონი, ლიტა

მწვრთნელი: სტივ კოპელი

გაფრთხილება: სენდეროსი, კიტსონი

მსაჯი: ფოი

60 132 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 0:1 უიგანი**

0:1 ფოლანი (18)

მანჩესტერ სიტი: ვივერი, რიჩარდსი, დანი, დისტინი, ბოლი (სტარიჯი 86), ტრაბელსი (ჟიხაი 33), ბარტონი, აირელანდი, ბისლი, სამარასი (მპენზა 46), კორადი

მწვრთნელი: სტიუარტ პირსი

უიგანი: ფილანი, ტეილორი, ჯეკსონი, ბოისი (ამსოუორთი 77), ბეინსი, ვალენსია (აგაჰოვა 75), ლანძაატი, სკოკო, მაკალოხი, ჰესკი (კილბეინი 55), ფოლანი

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

გაფრთხილება: ბოლი, ტრაბელსი, დანი, ტეილორი, ბეინსი

მსაჯი: ვები

39 923 მაყურებელი

**ნიუკასლი 0:0 მიდლსბრო**

ნიუკასლი: გივენი, სოლანო, ონიევუ, ბრამბლი, ტეილორი, მილნერი (სიბიერსკი 78), პარკერი, ბატი, ნზოგბია, დაიერი, მარტინსი

მწვრთნელი: გლენ როედერი

მიდლსბრო: შვარცერი, პარნაბი, ვუდგეიტი, პოგატეცი, ტეილორი, კატერმოლი (მორისონი 59), ბუატენგი, არკა (იუელი 84), დაუნინგი, ვიდუკა, აიეგბენი (ლი 64)

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

გაფრთხილება: პოგატეცი, ვუდგეიტი, ტეილორი

მსაჯი: ბენეტი

52 303 მაყურებელი

**ფულემი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 კარიუ (21), 1:1 ბოკანეგრა (23)

ფულემი: მიემი, როსენიორი, პირსი, ბოკანეგრა, კედრუ, სმერტინი, დევისი, ბრაუნი, დიოპი (რუტლეჯი 64), რაძინსკი (ჰელგუსონი 71), მაკბრაიდი (ჯონი 80)

მწვრთნელი: კრის კოულმენი

ასტონ ვილა: სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, ლაურსენი (კეჰილი 56), ბუმა, მელონი (აგბონლაჰორი 67), პეტროვი, მაკკენი, ბერი, კარიუ, იანგი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: კარიუ, მაკკენი

# იღბალი ფერგიუსონთან ცხოვრობს



ჯონ ოშის ფორტუნა-გოლი

AFP

„ენფილდზე" „ლივერპულის" 30-მატჩიანი წაუგებელი სერია „მანჩესტერმა" შეწყვიტა. ალექს ფერგიუსონის გუნდმა ზედიზედ მეორე შეხვედრაში იმარჯვა ბოლო წუთზე გატანილი გოლით და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ჩემპიონობისკენ.

„პრემიერლიგის მოსაგებად ცოტა იღბალიც საჭიროა — თქვა სტუმართა მწვრთნელმა — და ბოლო ორ ტურში ის სწორედ ჩვენთან იყო".

მაღალი კლასის ფეხბურთელებით მდიდარი ორი დიდი გუნდის მატჩი საგოლე მომენტებით „ღარიბი" გამოვიდა. ორივეს ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩი ელის და თითქოს თავი შეინახეს. ფრთხილი თამაში კი „მანჩესტერს" დაუფასდა. შეხვედრის ბოლოს მარცხენა ფლანგზე სტუმართა სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა — კრიშტიანუ რონალდუმ კარში დაარტყა, რეინამ მოიგერია და ჯონ ოშიმ საგოლედ დაამატა.

გოლამდე ორი წუთით ადრე მანჩესტერელი პოლ სქოულზი ხაბი ალონსოსთან უხეშობისთვის გააგდეს. მისი სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ალექს ფერგიუსონს მომდევნო მატჩებში პრობლემას შეუქმნის. ოლე გუნარ სოლსკიაერი ტრავმირებულია, ნათხოვარი ჰენრიკ ლარსონი შვედეთში ბრუნდება, უეინ რუნი და ლუი საა კი ფორმაში არ არიან.

„ძალიან დასანანი მარცხია — თქვა რაფაელ ბენიტესმა — მაგრამ ახლა „ბარსელონაზე" უნდა ვიფიქროთ. თუკი „ბარსელონასთან" ასე ვითამაშებთ და ოდნავ იღბალიც დაგვეხმარება, მეოთხედფინალში გავალთ".

დიდიე დროგბასა და სალომონ კალუს გოლებით „ჩელსიმ" პორტსმუთში მოიგო და „მანჩესტერთან" ცხრაქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. სამი დღის წინ აფრიკის საუკეთესოდ აღიარებულმა დროგბამ სეზონში 29-ე, პრემიერლიგაში კი მეთვრამეტე გოლი შეაგდო. კალუმდე „პორტსმუთს" ჰქონდა მომენტები და მეკარე პეტრ ჩეხმა იყოჩაღა.

ტიერი ანრის, ტურეს, ებუესა, ადებაიორისა და როსიცკის გარეშე მოთამაშე „არსენალს" „რედინგთან" გაუჭირდა და მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო მეტოქის გატეხვა. კლიში წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჟილბერტო სილვამ გაიტანა, ხოლო ათიოდ წუთში მეკარესთან პირისპირ გასულმა ჟულიო ბაპტისტამ სხვაობა გაზარდა.

სტუმრები ბოლოს მიაწვნენ „მეთოფეებს" და სესკ ფაბრეგასმა ნაკუთხურალი ბურთი ქუსლით შეაგდო საკუთარ კარში.

ამის მერეც შეეძლო „რედინგს" გატანა, მაგრამ იენს ლემანმა არ დაანება, რომელიც თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში თავის მცველებს ეჩხუბებოდა. განსაკუთრებით ჯორუ აითვალწუნა და ერთხელ ისე გაიწია მისკენ, რომ თანაგუნდელებმა გააშველეს.

„ზედიზედ სამი წაგების შემდეგ ეს გამარჯვება სასიცოცხლო იყო — თქვა არსენ ვენგერმა — სამი ქულა მეოთხე ადგილის შენარჩუნებაში დაგვეხმარება და პსვ-სთან შეხვედრამდე ფსიქოლოგიურადაც წაგვადგება. 2:0-ზე კიდევ ორი-სამი უნდა გაგვეტანა, მაგრამ ბოლოს საქმე ისე წავიდა, რომ კინაღამ აქეთ გაგვიტანეს ორი. ზოგიერთი გუნდისგან განსხვავებით, „რედინგს" პატივს ვცემ, რადგან დაცვაში არ იკეტება და ფეხბურთის თამაშს ცდილობს".

„მანჩესტერ სიტიმ" მიჯრით მეოთხე თამაში წააგო და ქვედა სამეულს უახლოვდება, სიტელები „უიგანმა" კალებ ფოლანის გოლით დაამარცხა, რომელიც იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას იყიდეს „ჩესტერფილდიდან". სწორედ იმ გუნდიდან, რომელმაც იანვრამდე „სიტი" ლიგის თასიდან გამოთიშა და მაშინაც გოლი... ფოლანმა შეაგდო.

„მასში 500 ათასი გირვანქა გადავიხადეთ და გაცილებით მეტ საქმეს აკეთებს" — შეაქო ფორვარდი მწვრთნელმა პოლ ჯუელმა.

მასპინძელთა თავკაცმა სტიუარტ პირსმა კი თავისი ფორვარდების სისუსტეზე დაიჩივლა: „27 მატჩში 20-ზე მეტი ვერ გავიტანეთ და ეს რიცხვები ყველაფერზე მეტყველებს".

**მაშა ხუციშვილი**

### მსაჯი: მასონი

მსაჯი: მასონი

24 552 მაყურებელი

**უოტფორდი 2:2 ჩარლტონი**

1:0 გუაზა (15), 2:0 ფრენსისი (21), 2:1 იანგი (67), 2:2 ამბროზი (89)

უოტფორდი: ლი, მარიაპა, დემერიტი, შიტუ, სტიუარტი (დოული 46), სმიტი, მაჰონი, უილიამსი, ბუაზა, ფრენსისი (კაველი 63), პრისკინი (ჰენდერსონი 88)

მწვრთნელი: ადრიან ბოთროიდი

ჩარლტონი: კარსონი, სანკოფა, ელ კარკური, ფორჩუნი, იანგი, ამბროზი, ჰოლანდი (ლისბი 72), ბილონგი, ტომასი (რომედალი 86), ჰასელბაინკი (ჟენგი 46), დ. ბენტი

მწვრთნელი: ალან პერდიუ

გაფრთხილება: ფრენსისი, მარიაპა, ფორჩუნი, სანკოფა

მსაჯი: უოლტონი

19 782 მაყურებელი

**შეფილდი 1:1 ევერტონი**

1:0 ჰალსი (52), 1:1 არტეტა (75პ)

შეფილდი: კენი, გერი, მორგანი (ა. ქუინი 83), დევისი, არმსტრონგი, კაზინ-რიჩარდსი, ფატი, ჟაგიელკა, ს. ქუინი, სტიდი (ნეიდი 61), ჰალსი

მწვრთნელი: ნილ უორნოკი

ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იობო, ლესკოტი, ნეისმიტი, ჩეჰილი (ოსმანი 44), კარსლი, ფერნანდესი, არტეტა, ჯონსონი, ბიტი (ვოგანი 54)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: კენი, დევისი, ნეიდი, ბიტი, ვოგანი

მსაჯი: რაილი

32 019 მაყურებელი

**ბოლტონი 1:2 ბლექბერნი**

0:1, 0:2 მაკკარტი (58პ, 68პ), 1:2 ანელკა (87)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ჰაიუ, ბენ ჰაიმი, პედერსენი, ნოლანი, კამპო, სპიდი (თეიმურიანი 78), იანაკოპულოსი (ვაზ ტე 69), ანელკა, დიუფი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

ბლექბერნი: ფრიდელი, ემერტონი, ნილსენი, სამბა, უორნოკი, ბენტლი (გალაჰერი 85), დანი, მოკოენა, პედერსენი, დერბიშაირი (რობერტსი 73), მაკკარტი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: ბენ ჰაიმი

მსაჯი: სტაილსი

21 743 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:4 ტოტენჰემი**

1:0 ნობლე (16), 2:0 ტევესი (41), 2:1 დეფო (51პ), 2:2 ტაინიო (63), 3:2 ზამორა (85), 3:3 ბერბატოვი (89), 3:4 სტალტერი (90)

ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, აშტონი (დევენპორტი 11), ფერდინანდი, კონჩესკი, ბოიერი, ნობლე, ქოში (ბლანკო 80), ეზერინგტონი (ზამორა 83), ტევესი, ჰერვუდი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა (ტაარაბტი 87), დაუსონი, გარდნერი, იანგ-პი ლი, ლენონი, ჯენასი (სტალტერი 57), ტაინიო, გელი (ჰადლსტოუნი 46), დეფო, ბერბატოვი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: ნობლე, ტევესი, ბოიერი, ნილი, კონჩესკი, ქოში, ჩიმბონდა

მსაჯი: დინი

34 966 მაყურებელი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| დროგბა (ჩელსი) | 18 |
| რონალდუ (მანჩესტერი) | 16 |
| აიეგბენი (მიდლსბრო) | 12 |
| მაკკარტი (ბლექბერნი) | 11 |
| ვან პერსი (არსენალი) | 11 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 23 | 3 | 3 | 66:19 | 72 |
| ჩელსი | 28 | 19 | 6 | 3 | 50:19 | 63 |
| ლივერპული | 29 | 16 | 5 | 8 | 44:20 | 53 |
| არსენალი | 27 | 15 | 7 | 5 | 50:23 | 52 |
| ბოლტონი | 29 | 14 | 5 | 10 | 34:34 | 47 |
| ევერტონი | 29 | 11 | 10 | 8 | 37:26 | 43 |
| რედინგი | 29 | 13 | 4 | 12 | 43:38 | 43 |
| ტოტენჰემი | 29 | 12 | 6 | 11 | 40:43 | 42 |
| პორტსმუთი | 29 | 11 | 8 | 10 | 36:31 | 41 |
| ბლექბერნი | 29 | 12 | 4 | 13 | 35:39 | 40 |
| ნიუკასლი | 29 | 10 | 7 | 12 | 34:37 | 37 |
| მიდლსბრო | 29 | 9 | 9 | 11 | 32:34 | 36 |
| ასტონ ვილა | 28 | 7 | 12 | 9 | 29:34 | 33 |
| ფულემი | 29 | 7 | 12 | 10 | 31:44 | 33 |
| უიგანი | 29 | 9 | 5 | 15 | 30:44 | 32 |
| შეფილდი | 29 | 8 | 7 | 14 | 25:41 | 31 |
| სიტი | 27 | 8 | 6 | 13 | 20:33 | 30 |
| ჩარლტონი | 29 | 6 | 6 | 17 | 26:49 | 24 |
| უოტფორდი | 29 | 3 | 11 | 15 | 18:43 | 20 |
| ვესტ ჰემი | 29 | 5 | 5 | 19 | 21:50 | 20 |

### XXX ტური
17 მარტი

| | | |
|---|---|---|
| მანჩესტერი | : | ბოლტონი |
| მიდლსბრო | : | სიტი |
| რედინგი | : | პორტსმუთი |
| ტოტენჰემი | : | უოტფორდი |
| უიგანი | : | ფულემი |
| ასტონ ვილა | : | ლივერპული |
| ბლექბერნი | : | ვესტ ჰემი |
| ჩარლტონი | : | ნიუკასლი |
| ჩელსი | : | შეფილდი |
| ევერტონი | : | არსენალი |

### ჩემპიონატი
XXXVI ტური

დერბი — კოლჩესტერი 5:1; ბარნსლი — ნორვიჩი 1:3; ბარნლი — კრ. პალასი 1:1; ქოვენთრი — ჰალი 2:0; იფსვიჩი — ქუინზ პარკი 2:1; ლიდსი — უენსდი 2:3; ლუტონი — ვულვზი 2:3; პლიმუთი — სტოკი 1:1; საუთენდი — ლესტერი 2:2; ვესტ ბრომვიჩი — სანდერლენდი 1:2; ბირმინგემი — კარდიფი 1:0. პრესტონი — საუთჰემპტონი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბირმინგემი | 35 | 20 | 7 | 8 | 53:33 | 67 |
| დერბი | 35 | 20 | 6 | 9 | 48:35 | 66 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 18 | 9 | 9 | 63:41 | 63 |
| სანდერლენდი | 36 | 19 | 6 | 11 | 54:37 | 63 |
| ვულვზი | 36 | 18 | 8 | 10 | 41:37 | 62 |
| საუთჰემპტონი | 35 | 16 | 11 | 8 | 56:39 | 59 |
| კარდიფი | 36 | 16 | 11 | 9 | 50:37 | 59 |
| პრესტონი | 34 | 17 | 8 | 9 | 50:38 | 59 |
| სტოკი | 36 | 14 | 12 | 10 | 43:29 | 54 |
| კოლჩესტერი | 36 | 15 | 7 | 14 | 55:45 | 52 |
| კრ. პალასი | 36 | 13 | 10 | 13 | 43:40 | 49 |
| პლიმუთი | 35 | 11 | 15 | 9 | 47:45 | 48 |
| უენსდი | 35 | 13 | 8 | 14 | 51:55 | 47 |
| ლესტერი | 35 | 11 | 12 | 12 | 39:41 | 45 |
| ქოვენთრი | 36 | 13 | 6 | 17 | 37:47 | 45 |
| ნორვიჩი | 34 | 12 | 8 | 14 | 45:53 | 44 |
| იფსვიჩი | 35 | 12 | 6 | 17 | 42:47 | 42 |
| ბარნლი | 35 | 10 | 11 | 14 | 36:38 | 41 |
| ბარნსლი | 36 | 11 | 5 | 20 | 40:61 | 38 |
| ლუტონი | 36 | 9 | 9 | 18 | 46:62 | 36 |
| ჰალი | 35 | 9 | 8 | 18 | 35:50 | 35 |
| ქუინზ პარკი | 35 | 9 | 8 | 18 | 40:56 | 35 |
| საუთენდი | 36 | 7 | 11 | 18 | 36:58 | 32 |
| ლიდსი | 36 | 9 | 4 | 23 | 36:62 | 31 |

### პირველი ლიგა
XXXVI ტური

ტრანმერი — ჩესტერფილდი 2:0; ბორნმუთი — დონკასტერი 2:0; ბრენტფორდი — სკანთორპი 0:2; ბრისტოლი — ნორთჰემპტონი 1:0; კარლაილი — ოლდემი 1:1; ქრიუ — ბრაიტონი 1:1; ჯილინგემი — ბლექპული 2:2; მილუოლი — ჩელტენემი 2:0; ნოტინგემი — ჰადერსფილდი 5:1; პორტ ვეილი — იოვილი 4:2; როტერჰემი — ბრედფორდი 4:1; სუონსი — ლეიტონი 0:0

### მეორე ლიგა
XXXVI ტური

ჩესტერი — ტორკი 1:1; შრიუსბერი — ბრისტოლი 0:0; ბარნეტი — ვრექსემი 1:2; დარლინგტონი — უოლსოლი 0:0; გრიმსბი — ბერი 2:0; ჰარტლპული — ჰერეფორდი 3:2; ლინკოლნი — მანსფილდი 1:2; დონსი — ბოსტონი 3:2; პიტერბრო — ნოტსი 2:0; როჩდეილი — აკრინგტონი 4:2; სტოკპორტი — სუინდონი 3:0; უიკომბი — მაკლსფილდი 3:0

### კონფერენსლიგა
XXXV ტური

ბარტონი — ალტრინჩემი 2:1; ქროული — ალდერშოტი 1:2; გრეისი — ვეიმუთი 2:2; კიდერმინსტერი — გრეივსენდი 1:2; მორეკომბი — ალბანსი 2:0; ნორსვიჩი — ტემუორთი 0:1; ოქსფორდი — სტივენეიჯი 2:0; რაშდენი — ექსეტერი 3:0; სოთპორტი — დაგენემი 1:4; სტაფორდი — კემბრიჯი 1:2; უოკინგი — ჰალიფაქსი 2:2; იორკი — ფორესტ გრინი 0:0

# იტალია
## სერია A
## XXVII ტური

### ასკოლი 1:1 რომა
1:0 სონკინი (31), 1:1 ვილჰელმსონი (85)
ასკოლი: ელეფთეროპულოსი, მელარა (ლომბარდი 75), კორალო, ნასტასი, ვასტოლა, ფინი, ფოლიო (პერული 80), გუდიანსკი, პეშე, სონკინი (ჯუბერტი 90), პალუჩი
მწვრთნელი: ნედო სონეტი
რომა: კურჩი, კასეტი (ტონეტო 80), ფერარი, კივუ, პანუჩი, დ. პიზარო, ფატი (დე როსი 59), ვილჰელმსონი, ტოტი, ტავანო, ვუჩინიჩი (მანსინი 59)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: კორალო, კივუ, ბუდიანსკი, სონკინი, ნასტასი
მსაჯი: საკანი
8 000 მაყურებელი

### ლივორნო 1:2 ინტერი
1:0  კ. ლუკარელი (27), 1:1 კრუზი (35), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (66)
ლივორნო: ამელია, ბალერი (პაულინიო 71), რეზაეი, გალანტე, პასკუალე, ა. ფილიპინი, მორონე (ვიდიგალი 81), პასონი, პავანი (პფერცელი 81), ფიორე, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
ინტერი: ჟულიო სეზარი, ბურდისო, მატერაცი, სამუელი, გროსო (ფიგუ 66), ხ. ძანეტი, დაკური (მაიკონი 55), მაქსველი, სტანკოვიჩი (კორდობა 81), იბრაჰიმოვიჩი, კრუზი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
გაფრთხილება: მატერაცი, დაკური, ფიგუ, მაიკონი
გაძევება: მაიკონი (82)
მსაჯი: მორგანტი
5 800 მაყურებელი

### მილანი 3:1 კიევო
0:1 პელისიერი (17), 1:1 ჯილარდინო (33), 2:1 ოდო (55), 3:1 ზეედორფი (90)
მილანი: დიდა, ოდო, შიმიჩი, ბონერა, იანკულოვსკი, გატუზო (ზეედორფი 80), პირლო, ბროკი, კაკა, ჯილარდინო (ამბროზინი 76), რონალდო (ფავალი 88)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
კიევო: სკუზი, მალაგო, მანდელი, დანა, ლანა, სამარკო (რუდო 80), იტალიანო, ტროიანო (ბრიგი 46), სემიოლი, პელისიერი, კოცოლინო (კოსოვსკი 60)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: გატუზო, ჯილარდინო
მსაჯი: ტალიავენტო
41 072 მაყურებელი

### კატანია 1:1 სიენა
1:0 კორონა (59), 1:1 კოცა (77)
კატანია: პანტანელი, ლუკენტი (სარდო 81), სტოვინი, მინელი, ვარგასი, ბაიოკო, ედუსეი, კასერტა, მასკარა (მორიმოტო 40; ბისო 84), კორონა, კოლუჩი
მწვრთნელი: პასკუალე მარინო
სიენა: მანინგერი, ნეგრო, რინაუდო, პორტანოვა, მოლინარო, ანტონინი (ერიომენკო 65), კოდრია, ვერგასოლა, კოცა (ბრევი 84), მაკარინე, ფრიკი (კორვია 65)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: ედუსეი, კოდრია, კოლუჩი, ბისო
მსაჯი: გავა
უმაყურებლოდ

### ფიორენტინა 5:1 ტორინო
0:1 როსინა (15), 1:1, 2:1 ტონი (31, 34), 3:1 ფრანჩესკინი (53ს.კ.), 4:1, 5:1 გამბერინი (74, 84)
ფიორენტინა: ფრეი, უიფალუში, დაინელი, გამბერინი, პასკუალი, ბლაზი (კუზმანოვიჩი 66), მონტოლივო, პაციენცა, რეგინალდო (იორგენსენი 56), ტონი (პაცინი 76), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
ტორინო: აბიატი, ბოვო (ბარონე 64), ბრევი, ფრანჩესკინი, კომოტო, გალო (ოგურო 64), დე აშენტისი, ბალესტრი, ლაზეტიჩი, როსინა (კონანი 73), აბრუშატო
მწვრთნელი: ჯანი დე ბიაზი
გაფრთხილება: ბოვო, ბრევი, ბლაზი, დე აშენტისი, ბალესტრი, პაცინი
მსაჯი: ბერგონცი
23 900 მაყურებელი

### ლაციო 1:0 სამპდორია
1:0 როკი (23)
ლაციო: ბალოტა, ბეჰრამი (ბელერი 68), სივილია (სტენდარდო 46), კრიბარი, ძაური, მუდინგაი, ლედესმა, მუტარელი, მაური, ტ. როკი, გ. პანდევი (ხიმენესი 74)
მწვრთნელი: დელიო როსი
სამპდორია: კასტელაცი, ძენონი (ბაცანი 71), ფალკონე, აკარდი, პიერი, მაჯო, პალომბო, ვოლპი (დელვეკიო 46), ფრანჩესკინი (ციგლერი 80), ბონაცოლი, კალიარელა
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: მუტარელი, მაური
მასაჯი: გირარდი
18 000 მაყურებელი

### მესინა 2:0 პალერმო
1:0, 2:0 რიგანო (45, 65)
მესინა: კალიონი, ლავეკა, რეა, ძანკი, პარიზი (გიალომბარდო 78), ალვარესი, კანდელა (პესტრინი 60), დავერსა, მასიელო, რიგანო, ბაკაიოკო (ილიევი 63)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
პალერმო: ფონტანა, ძაკარდო, ბარძალი, ბიავა (კასანი 68), პისანო, დიანა, გუანა, სიმპლისიო, ბრიენძა (მატუშეკი 70), ბრეშიანო (კარაჩოლო 59), დი მიკელე
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: ფონტანა, ბრიენძა
გაძევება: კარაჩოლო (61)
მსაჯი: აიროლდი
22 000 მაყურებელი

### პარმა 2:2 რეჯინა
0:1 ბიანკი (13), 1:1 ბუდანი (23), 1:2 ბიანკი (40), 2:2 როსი (90)
პარმა: ბუჩი, პაცი, ფ. კოუტუ, კონტინი (ფერონეტი 19), პისანუ, პარავიჩინი, სიგარინი, დესენა (გასბარონი 19; მუსლიმოვიჩი 69), კასტელინი, როსი, ბუდანი
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
რეჯინა: კამპანოლო (პუგონი 51), არონიკა, ლუკარელი, გიუზა, მესტო, ამერინი, ტონოცი, ტედესკო, მოდესტო, ფოჯა (ესტევესი 88), ბიანკი (ამორუზო 61)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: პისანუ, კასტელინი, ბუდანი, ამერინი, ამორუზო
მსაჯი: ფარინა
13 500 მაყურებელი

### უდინეზე 0:1 ემპოლი
0:1 პოცი (18)
უდინეზე: დე სანქტისი, კოდა (სიკუერა 75), ნატალი, ზაპატა, ზაპოტოჩნი (დაგოსტინი 67), ობოდო, პინცი (ტიბონი 74), მუნტარი, დოსენა, გ. ასამოა, დი ნატალე
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ემპოლი: ბალი, რაჯი, ვანილი, ლუკინი, ტოსტო, ალმირონი, მორო, ბუშე, ვანუჩი, მარიანინი, პოცი
მწვრთნელი: ლუიჯი კანი
გაფრთხილება: კოდა, მუნტარი, დაგოსტინო, ლუკინი
მსაჯი: ბრიგი
10 000 მაყურებელი

### კალიარი 2:0 ატალანტა
1:0 სუაზო (4), 2:0 პეპე (71)
კალიარი: ფორტინი, თერი (პიზანო 80), ლოპესი, ბიანკო, დელ გროსო, ბიონდინი, კონტი, კოლუჩი, დაგოსტინო (აგოსტინი 86), კაპონე (პეპე 67), სუაზო
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
ატალანტა: კალდერონი, ადრიანო, რივალტა, ლორია, არიატი, პინტუ (ბერნარდინი 65), მილიაკო, დონატი (ტისონე 76), დეფენდი, დონი (კაროციერი 72), ვენტოლა
მწვრთნელი: სტეფანო კოლანტუონო
გაფრთხილება: კონტი, ფერი, რივალტა, ლორია, დონი
გაძევება: ადრიანო (68)
მსაჯი: პალანკა
7 000 მაყურებელი

# კარგი, მაგრამ უგოლო



კრისტიან ლუკარელის ულამაზესი გოლი „ინტერის" კარში

AFP

**ქალაქ** ლივორნოში „სტადიო პიკი" მხოლოდ აბონემენტების მფლობელთათვის იყო ღია, არადა, მატჩისადმი ინტერესი, წესით, დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან პროვინციაში „ინტერი" ჰყავდათ სტუმრად.

